ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## ზუგდიდში გოგონა ხეზე კიმონოს ქამრით ჩამომხრჩვალი იპოვეს




გვ.2

16 წლის სპორტსმენის ტრაგიკული ცხოვრება

18 ნოემბრიდან

მოთხრობები რობინ ჰუდზე

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი




პარასკევი, 18 ნოემბერი, 2016 | №274 (7199) | ფასი: 50 თეთრი

# ნაცმოძრაობაში ხელფასი აღარ რიგდება




გვ.2

## მიხეილ სააკაშვილი: „პოროშენკო ჩემთვის მოქალაქეობის წართმევას აპირებს“





## „ოცნებას“ გამოსავალი არ აქვს“



გვ.3

## თორნიკე შარაშენიძე: „სააკაშვილის სამიზნე კიევია“

## „მე სააკაშვილის მძევალი ვიყავი“



გვ.5

პროკურატურამ ნორა კვიციანი გაამართლა

## ახალი პარლამენტი მუშაობას იწყებს



გვ.3

## სოსო შატბერაშვილი: „პარლამენტმა, პირველ რიგში, ლარის კურსს უნდა მიხედოს“



გვ.4

## „ისევ წრეზე დავდივართ“

## უსუფაშვილი: „კარგი ერთპარტიულობა არ არსებობს“



გვ.2

## ჯემალ გამახარია: „თურქეთში აფხაზური გაზეთი აღარ უნდა გამოვაცემინოთ“



გვ.5

## შოთა ხაბარელი: „სააკაშვილი გაკოტრებული ადამიანია“



გვ.4

## თამარ ლალიაშვილი: „ბალუაშვილს კაბინეტში ვუთხარი, რომ ზვიად ძიძიგურისთვის სიკვდილით დასჯას არ მოვითხოვდი“



გვ.7

ISSN 1987-9385

## გია ცაგარეიშვილი: „თანამდებობა ჩემთვის არავის შემოუთავაზებია“



გვ.4

# ნაცმოძრაობაში ხელფასი აღარ რიგდება

## მიხეილ სააკაშვილი: „პოროშენკო ჩემთვის მოქალაქეობის წართმევას აპირებს“

შორენა მარსაგიშვილი

ყოფილი ხელისუფლება შავ დღეშია. პარტიაში პოლიტიკურ განხეთქილებას ფინანსური პრობლემებიც დაემატა. ნაცმოძრაობასთან დაახლოებულმა პირმა „ახალ თაობასთან“ საუბარში განაცხადა, რომ უკვე ორი თვეა, რაც პარტიის შტაბში ხელფასები არ დარიგებულა.

— ასეთი რამე არასდროს ყოფილა, ხელფასები არ იგვიანებდა, ახლა კი 2 თვე ხელფასი არ ყოფილა. პარტიის ლიდერები იღებენ თუ არა რამეს, არ ვიცი, ქვედა რგოლი კი შავ დღეშია, — განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში პარტიასთან დაახლოებულმა პირმა.

მისი განმარტებით, ხელფასის დაგვიანების ზუსტი მიზეზები არ სახელდება. პარტიაში ვარაუდობენ, რომ მათ დაფინანსება სააკაშვილმა შეუწყვიტა.

8 ოქტომბრის შემდეგ ყოფილი პრეზიდენტისა და ნაციონალების ერთი ფრთის გზები საბოლოოდ გაიყო. პარტიის ყრილობისთვის აქ დიდ სკანდალებს ელოდებიან. როგორც ამბობენ, პარტიის შიგნით იქმნება გუნდი, რომელიც სააკაშვილის დაქვემდებარებაში იქნება.

სავარაუდოდ, ამ გუნდს შეუერთდება აჭარის მინისტრთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე ლევან ვარშალომიძე. აჭარაში ნაციონალური მოძრაობის სიის პირველმა ნომერმა უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე უარი თქვა.

როგორც ვარშალომიძემ საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, ის არ მიდის პოლიტიკიდან და მხარდამჭერებთან აქტიურ ურთიერთობას გეგმავს.

— პირველ რიგში, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველას, ვინც ჩართული იყო საარჩევნო პროცესში, მხარში მედგა და მარწმუნებდა, რომ არ უნდა დავნებებულიყავი. მადლობა ჩემს გუნდს. მინდა ასევე ბოდიში მოვუხადო ჩვენს ამომრჩეველს იმის გამო, თუ ვერ გავამართლეთ მათი მოლოდინი, ვერ დავაკმაყოფილეთ მათი მოთხოვნები. გვაფრთხილებდნენ, რომ არჩევნებს გააყალბებდნენ და ბოდიშს ვუხდი მხარდამჭერებს, რომ მათი ხმა ვერ დავიცავი.






სწორედ ამიტომ ვიღებ გადაწყვეტილებას და არ შევდივარ უმაღლეს საბჭოში, არც როგორც ლიდერი და არც როგორც დეპუტატი. ეს მომცემს საშუალებას, უფრო მეტი ყურადღება მივაქციო ხალხს და ვითანამშრომლო ჩემს გუნდთან. ეს გადაწყვეტილება არ ნიშნავს, რომ მე მივდივარ პოლიტიკიდან. ჩემი კონცენტრირება და ძალისხმევა ცვლილებებისკენ იქნება მიმართული.

ვიქნები აჭარაში, საქართველოში და ჩემი პრინციპი იქნება, მეტ ხალხს შევხვდე. მოსახლეობას შეეძლება ჩვენთან მოსვლა და შეხვედრა, პრობლემების განხილვა, იდეების გაზიარება, — განაცხადა ვარშალომიძემ.

ვარშალომიძის დემარში ნაციონალებისთვის უსიამოვნო სიურპრიზი აღმოჩნდა. ამბობენ, რომ მათ კიდევ ბევრი სიურპრიზი ელით. როგორც პარტიასთან დაახლოებულმა წყარომ „ახალ თაობას“ უთხრა, ნაცმოძრაობის ლიდერები ახლა ერთ რამეზე ოცნებობენ, პეტრო პოროშენკომ სააკაშვილს მოქალაქეობა არ ჩამოართვას.

### ლევან ვარშალომიძე აჭარის უმაღლეს საბჭოში შესვლაზე უარს აცხადებს



— მათ იციან, რომ თუ სააკაშვილს უკრაინის მოქალაქეობას ჩამოართმევენ, ის აქ დაბრუნდება და მოღალატეებს აუცილებლად მოსთხოვს პასუხს, — აღნიშნავს ჩვენი წყარო.

სააკაშვილისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევის საკითხი უკრაინაში ძალიან აქტუალურია. ამ მოთხოვნით რადის დეპუტატებიც გამოვიდნენ.

ყოფილი პრეზიდენტი თავადაც არ გამორიცხავს, რომ უკრაინის მოქალაქეობა ჩამოართვან. ამის შესახებ მან სოციალურ ქსელშიც დაწერა. ის თავს იმით იმედებს, რომ, უკრაინის კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ეს შეუძლებელია.

— ჩემმა კარგად ინფორმირებულმა წყარომ შემატყობინა, რომ პრეზიდენტმა პოროშენკომ დაავალა იგორ კონონენკოსა და მის თანამზრახველ გრანოვსკის, რომელიც პრეზიდენტის ადმინისტრაციის კორუფციულ პირამიდაში სასამართლო საქმეების არაფორმალური კურატორია, მოამზადონ ჩემთვის სასამართლოს გადაწყვეტილებით მოქალაქეობის ჩამორთმევის საკითხი.

საერთაშორისო სამართალი და უკრაინის კანონმდებლობა კრძალავს მოქალაქეობის ჩამორთმევას უკრაინის მოქალაქეებისთვის, თუ მათ სხვა ქვეყნის მოქალაქეობა არ გააჩნიათ. ძალიან სამწუხაროა, რომ პრეზიდენტი არა მხოლოდ სარგებლობს ამ თაღლითების მომსახურებით, არამედ ყურსაც უგდებს მათ რჩევებს, — წერს სააკაშვილი.

უკრაინის „რადიკალური პარტიის“ ლიდერი, რადის დეპუტატი ოლეგ ლიაშკო კი აცხადებს, რომ პეტრო პოროშენკომ საქართველოს ექსპრეზიდენტს მოქალაქეობა უკანონოდ მიანიჭა.

— სააკაშვილი გუშინ ტიროდა, რომ მას უკრაინის მოქალაქეობას ართმევენ შურისძიების მიზნით. ვინ იძიებს შურს მასზე? ვის სჭირდება აბრაგზე შურისძიება? რა აზრი აქვს ამას? მას მისმა ქართველებმა არ დაუჭირეს მხარი: ის მათ 10 წლის განმავლობაში უტარებდა რეფორმებს ისე, რომ მათ მას უკვე მეორედ არ დაუჭირეს მხარი. სააკაშვილს უკანონოდ გადასცეს უკრაინის მოქალაქეობა, — აცხადებს ლიაშკო.

„რადიკალური პარტიის“ ლიდერი ახალი ინიციატივითაც გამოდის. ის ითხოვს, პრეზიდენტს უცხოელებისთვის უკრაინის მოქალაქეობის გადაცემის უფლება ჩამოერთვას.

— კანონმდებლობის თანახმად, უკრაინის მოქალაქეობა არ ენიჭებათ პირებს, რომლებიც საერთაშორისო ძებნაში იმყოფებიან. პოროშენკომ, ფაქტობრივად, სააკაშვილს უკრაინის მოქალაქეობა აჩუქა. ვინ მისცა პრეზიდენტს უფლება, ჩემი მოქალაქეობა აჩუქოს ყველა შემხვედრს, რომლებიც საერთაშორისო ძებნაში იმყოფებიან? ამიტომ სააკაშვილს მოქალაქეობა უნდა ჩამოერთვას.

მე მოვამზადებ კანონპროექტს, რომელიც პრეზიდენტს ჩამოართმევს უცხოელებისთვის მოქალაქეობის მინიჭების უფლებას. ეს გადაწყვეტილება მხოლოდ უკრაინის უმაღლესმა რადამ უნდა მიიღოს, — განაცხადა ოლეგ ლიაშკომ.

# უსუფაშვილი: „კარგი ერთპარტიულობა არ არსებობს“




## „ისევ წრეზე დავდივართ“

— მზად ვარ სერიოზულ საქმეზე სერიოზულ ხალხთან სერიოზული საუბრებისთვის.

ამის შესახებ ჟურნალისტებს დავით უსუფაშვილმა განუცხადა, რომელმაც პარლამენტის თავმჯდომარის რანგში გუშინ, 17 ნოემბერს, ბოლო პრესკონფერენცია გამართა.

უსუფაშვილის თქმით, მისი მთავარი სამიზნე 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები იქნება.

— მე ბიძინა ივანიშვილთან პარტნიორობა და მასთან ერთად მოღვაწეობა გადამაწყვეტინა მისმა შეხედულებებმა იმასთან დაკავშირებით, რომ მისი ლოზუნგი იყო: „დავასრულოთ ერთპარტიულობა და დავამყაროთ მრავალპარტიულობა“. პირველი ნაბიჯებიც ასე გადადგა და სხვადასხვა პარტიიდან შექმნა კოალიცია, ანუ ის მოდელი, რომელიც სტაბილურ პოლიტიკურ სისტემამდე მიგვიყვანდა, — განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

მისი აზრით, სამწუხაროდ, დღეს მივიღეთ ის, რომ ვიარეთ წრეზე და მოვედით ისევ იქ, რომ თურმე ერთპარტიულობის შეცვლა ვიღაცებისთვის ნიშნავს ცუდი ერთპარტიულობის შეცვლას კარგი ერთპარტიულობით.

— ცუდი ერთპარტიულობის შეცვლა კარგი ერთპარტიულობით არის ილუზია, მირაჟი, რომელიც გაიფანტება ხოლმე რაღაც მომენტში და დავინახავთ, რომ თურმე ეს კარგი ერთპარტიულობა არის ცუდ ერთპარტიულობამდე მისვლის უმოკლესი გზა, — აღნიშნა დავით უსუფაშვილმა.

ის მზადაა, ესაუბროს ისეთ ხალხს, რომელთაც ეს პრობლემა დანახული აქვთ, როგორც პრობლემა.

— ძალიან ბევრისთვის უფრო მარტივია, როდესაც ერთპარტიულობაა და თვლიან, რომ ეს ეფექტურია, მაგრამ, ისიც ვიცი, რომ არსებობენ სხვა შეხედულებების ადამიანები, რომელთა დიდი ნაწილი არ არის ჩართული აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობაში. მინდა, ჩემი პოლიტიკური გამოცდილება მოვახმარო იმას, რომ მოვძებნო ასეთი ადამიანები. მზად ვარ სერიოზულ საქმეზე სერიოზულ ხალხთან სერიოზული საუბრებისთვის, მზად ვარ იდეაზე დაფუძნებულ გეგმებსა და ამოცანებზე სასაუბროდ. დარწმუნებული ვარ, ეს საუბარი შედეგს გამოიღებს, — დასძინა უსუფაშვილმა.

# ზუგდიდში გოგონა ხეზე კიმონოს ქამრით ჩამომხრჩვალი იპოვეს

## 16 წლის სპორტსმენის ტრაგიკული ცხოვრება

გუშინ დილით ცნობილი გახდა, რომ ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში 16 წლის მოზარდმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

როგორც ირკვევა, გოგონა სკოლას ხშირად აცდენდა და თვითმკვლელობის მცდელობა ადრეც ჰქონდა.

თვითმხილველების ინფორმაციით, 16 წლის მ.მ-ს ცხედარი გამვლელმა ხეზე კიმონოს ქამრით ჩამოკიდებული იპოვა.




როგორც ირკვევა, მარიამ მ. სპორტით იყო გატაცებული და ძიუდოში წარმატებებსაც მიაღწია, 6 ნოემბერს ბორჯომში რესპუბლიკის მასშტაბით ჩატარებულ ტურნირში მეორე ადგილიც დაიკავა.

თვითმკვლელობამდე რამდენიმე საათით ადრე მ.მ. ვარჯიშზეც იმყოფებოდა, თუმცა მწვრთნელისთვის რაიმე პრობლემის შესახებ არ უთქვამს.

როგორც „ნიუპოსტს“ გარდაცვლილის მეზობელი უყვება, მარიამის დედა 4 თვის წინ სხვა კაცზე გათხოვდა, მამა კი სოფელ ორსანტიაში ცხოვრობს. ბავშვები ზუგდიდში კომპაქტურ ჩასახლებაში უდედმამოდ გაიზარდნენ.

— ძალიან კარგი ბავშვი იყო, თუმცა ოჯახურმა პირობებმა მასზე ძალიან იმოქმედა. რამდენიმე თვის წინ გავიგეთ, რომ გათხოვდა, გაგვიხარდა, თუმცა მალევე ხმა გავრცელდა, რომ ქმარს დაშორდა და სახლში დაბრუნდა, — აცხადებს მეზობელი.

მისივე ინფორმაციით, გოგონას ძმა სამართალდამცავებმა ქურდობის ფაქტზე დააკავეს.



# ლარი გამყარდა

ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ეროვნული ვალუტა დოლართან მიმართებაში გამყარდა.

დღეიდან 1 დოლარის ოფიციალური ფასი 2.4861 ლარი გახდება. კურსი, რომელიც გუშინ მოქმედებდა, 2.4926 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ 0.0065 ლარი შეადგინა.

ეროვნული ვალუტის კურსი ევროსთან მიმართებაში გამყარდა.

კერძოდ, დღეიდან 1 ევროს შეძენა 2.6673 ლარად იქნება შესაძლებელი, მაშინ, როცა გუშინ მოქმედი კურსი 2.6686 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ ევროსთან მიმართებაში 0.0013 ლარი შეადგინა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# თორნიკე შარაშენიძე: „სააკაშვილის სამიზნე კიევია“

## „ოცნებას“ გამოსავალი არ აქვს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი **თორნიკე შარაშენიძე** პასუხობს.

***– ბატონო თორნიკე, როგორ აფასებთ ნაციონალურ მოძრაობაში მიმდინარე პროცესებს? სააკაშვილის თქმით, ნაცმოძრაობას ივანიშვილი შლის. ჯერ გირჩი და ვაშაძე იყიდა, ახლა დანარჩენების ყიდვასაც ცდილობსო. რა პროცესები მიმდინარეობს მთავარ ოპოზიციაში?***

– ვაშაძე და გირჩი არ უნდა იყოს სააკაშვილისთვის არანაირი პრობლემა. ეს აბსურდია უკვე. სააკაშვილი არ იზიარებს იმ ჯგუფის პოზიციას, რომელიც პარლამენტში შედის და ამიტომაც აქვს ასეთი დამოკიდებულება. სააკაშვილმა ამ განცხადებებით დაანახა ყველას, რომ ნაცმოძრაობას სააკაშვილის გარეშე გაუჭირდება.

***– რამდენად გაუჭირდება ნაციონალურ მოძრაობას სააკაშვილის გარეშე?***

– გააჩნია, ესენი რას გააკეთებენ მომავალი ოთხი წლის განმავლობაში, პარლამენტში როგორ გამოიჩენენ თავს. თუ ისინი ჩაიძირებიან ყოველდღიურ კამათში, რომელიც ახლავს საპარლამენტო ცხოვრებას, დიდი შანსია, რომ მათ დაკარგონ ის რეიტინგი. სააკაშვილის გარეშე რეიტინგს მაინც დაკარგავენ, რადგან მათი რეიტინგის 60% მიხეილ სააკაშვილია. თუ ისინი სააკაშვილს მოიშორებენ და ჩაეფლობიან ყოველდღიურ კამათში და ასე შემდეგ, არის სერიოზული შანსი, რომ დაკარგონ რეიტინგი. არის მეორე ვარიანტიც.

***– რომელი?***

– თუ „ოცნებამ“ ჩააფლავა საქმეები, ნაცმოძრაობას რჩება შანსი, რომ მოიგოს არჩევნები 2020 წელს. შეიძლება, ამის იმედი აქვს ნაცმოძრაობის თბილისურ ფრთას, რომ „ოცნება“ იმდენად გააფუჭებს საქმეს, ქართველ ამომრჩეველს სხვა ალტერნატივა არ ექნება. ისევ ნაცმოძრაობა, თუნდაც სააკაშვილის გარეშე.

***– ამბობენ, რომ სასწრაფოდ ყრილობაა ჩასატარებელი. როგორ ფიქრობთ, მოხდება მიხეილ სააკაშვილის გადაყენება?***

– ყრილობა მიზნად არ ისახავს მიხეილ სააკაშვილის გადაყენებას და მას ვერც გადააყენებენ, რადგან ფორმალურად არანაირი თანამდებობა არ უჭირავს. ყრილობა სააკაშვილს უფრო აწყობს, ამიტომაც ამბობს, ყრილობა მოიწვიეთო.

***– რაში აწყობს სააკაშვილს?***

– რეალურად რომ გამოჩნდეს, ვის მეტი მომხრე ჰყავს. დღევანდელმა პოლიტსაბჭომ თუ დაუჭირა მხარი პარლამენტში შესვლას, მას იმედი აქვს, რომ ყრილობა მას უფრო დაუჭერს მხარს. ამ ეტაპზე რამდენად მომგებიანია ყრილობა პარტიისთვის და პარტიაში ვგულისხმობ სააკაშვილსაც, საკითხავია. არ არის გამორიცხული, რომ ამან სიტუაცია კიდევ უფრო გაამწვავოს და მიიყვანოს პარტიის დაშლისკენ, ამიტომაც არ გამოვრიცხავ, რომ თავად სააკაშვილსაც აწყობდეს, მოხდეს წყნარად, უხმაუროდ შერიგება.

***– სააკაშვილს უკრაინაშიც შეერყა პოზიციები. პოროშენკო აპირებს, მოქალაქეობაც წაართვასო. რას იზამს?***

– ამერიკაში წავა. ეს მარტივად გამოსაცნობია. სააკაშვილის სამიზნე არასოდეს ყოფილა ოდესის გუბერნია. მისი სამიზნე იყო კიევი. მისი მთავარი მიზანი არის გავლენა თვითონ უკრაინაზე.

***– რამდენად გამოუვა?***

– ეს უკვე მეორე საკითხია. თუ წაართმევენ მას მოქალაქეობას და სიტუაცია წავა გამწვავებისკენ, შეიძლება, ამით უფრო იხეიროს, ხოლო თუ ვერ იხეირა, მაშინ წავა ამერიკაში და აიღებს დიდ პაუზას პოლიტიკაში.

***– მას ტრამპის იმედი აქვს, თითქოს ის დაეხმარება უკრაინაში პოზიციების გასამყარებლად. ამაზე რას იტყვით?***

– არა მგონია, ეს ასე მარტივი იყოს. ტრამპს არ სცალია უკრაინისთვის, მომავალი რამდენიმე თვე მაინც. სააკაშვილი ძლიერია მაშინ, როცა კრიზისია. წყნარ ცხოვრებას ის ვერ იტანს. ამიტომ სააკაშვილი კრიზისის პერიოდში ბევრად საშიში ხდება თავისი ოპონენტებისთვის.



***– ანუ მისთვის ხელსაყრელიც იქნება, თუკი მოქალაქეობას დაკარგავს?***

– არ არის გამორიცხული, რომ ამით ისარგებლოს და ააგოროს ისეთი კამპანია, რომ შემდეგ ამით იხეიროს კიდეც. ის აკეთებს ისეთ სვლებს, რაც ოპონენტებს აბნევს ხოლმე.

***– დავით ბაქრაძე განიხილება ნაცმოძრაობის მომავალ ლიდერად. რამდენად აქვს მას ის ქარიზმა, რაც სააკაშვილს?***

– სააკაშვილთან შედარებით, ქარიზმა ბარე ორს არ აქვს და მით უმეტეს დავით ბაქრაძეს, რომელიც ძალიან დიდი ხნის განმავლობაში იყო დიპლომატი ჩინოვნიკი და ამან ერთგვარი კვალი დაამჩნია მის პიროვნულ თვისებებს. შეიძლება, ნაცმოძრაობისთვის ბაქრაძე უფრო მისაღებია. ის არის კონსტრუქციული, წყნარი და აგრესიას არ იწვევს საზოგადოებაში. ეს ზის, ალბათ, ნაცმოძრაობის თბილისური ფრთის იმ გათვლაში, რომ ნაცმოძრაობას ოთხ წელიწადში ალტერნატივა არ ეყოლება, იმიტომ, რომ „ოცნება“ საქმეს გააფუჭებს და ამიტომაც თვლიან, რომ დღეს მათ ქარიზმა კი არ სჭირდებათ, არამედ სჭირდებათ ბაქრაძისნაირი ლიდერი, ფორმალურად რომ იყოს ლიდერი, თორემ მის უკან დგას რამდენიმე სერიოზული, გავლენიანი ფიგურა, მათ შორის გიგა ბოკერია.

***– რამდენად არის ბოკერიას დამსახურება სააკაშვილის ჩაჩოჩება?***

– ჩაჩოჩება რა, ისინი ვერ შეთანხმდნენ პოლიტიკაზე, შესულიყვნენ თუ არა პარლამენტში. ორივეს თავისი არგუმენტები ჰქონდა და პოლიტსაბჭოს უმრავლესობამ, ალბათ, მოიწონა ბოკერიას არგუმენტები. დღეს არ არის 2003 წლის სიტუაცია საქართველოში, რევოლუციის მოწყობა ჯერჯერობით შეუძლებელია, ამიტომ ისინი პარლამენტში რომ არ შესულიყვნენ, ამით საბოლოოდ მოხდებოდა ნაცმოძრაობის მარგინალიზაცია. ამას ემატება ისიც, რომ სააკაშვილი ოდესაშია და ჩათვალეს, რომ ის იქიდან სწორად ვერ აფასებდა სიტუაციას.

***– თქვენ ამბობთ, რომ ნაციონალური მოძრაობის გაძლიერება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა შეცდომებს დაუშვებს „ოცნება“. დღეს ახალი მოწვევის პარლამენტის პირველი სხდომა იმართება. როგორ ფიქრობთ, რა შანსები აქვს „ოცნებას“ და რას უნდა ველოდოთ მომდევნო ოთხი წელი?***

– წინა ოთხი წლისგან დიდად განსხვავებული არ იქნება. კვირიკაშვილი რჩება პრემიერ-მინისტრად. რა უნდა იყოს განსხვავებული? ალბათ, სასწაული არ მოხდება, გაგრძელდება იგივე პოლიტიკა. ყველაზე მეტად კი ქვეყანას ურტყამს ეკონომიკის განვითარების ძალიან დაბალი ტემპი. ამ ყველაფერს ემატება ლარის გაუფასურება.

თუ ლარის ვარდნა ამ ტემპით გაგრძელდა, ოთხ წელიწადში „ოცნებას“ ძალიან გაუჭირდება არჩევნების მოგება. ლარის ვარდნა კი, შესაძლოა, კიდევ გაგრძელდეს, რადგან ამას დაემატება დოლარის შემდგომი გამყარება. ტრამპი აპირებს, სერიოზულად დაეხმაროს ამერიკის ნავთობის სექტორს. ნავთობი კიდევ უფრო გაიაფდება და ეს ავტომატურად ამყარებს დოლარს. ეს ურტყამს ყველა ვალუტას. ეს პროცესი კი ლარს აუცილებლად დაარტყამს. „ოცნებას“ რომ გამოსავალი არ აქვს, ესეც ფაქტია.

# ახალი პარლამენტი მუშაობას იწყებს

შორენა მარსაგიშვილი

დღეს, 18 ნოემბერს, 150 დეპუტატისა და მათი სანათესავოს ოცნება ახდება – მე-9 მოწვევის პარლამენტი პირველ პლენარულ სხდომას გამართავს. სხდომას, ტრადიციულად, საქართველოს პრეზიდენტი გახსნის. სპიკერის არჩევამდე პარლამენტის პირველ სხდომას პარლამენტის უხუცესი დეპუტატი რევაზ არველაძე წაიყვანს.

ახალ პარლამენტში 150 დეპუტატი იმუშავებს. აქედან 115 მეოცნებეა, 27 – ნაციონალი, 6 – პატრიოტთა ალიანსელი, 1 – „მრეწველები – ჩვენი სამშობლოს“ წარმომადგენელი და 1 – დამოუკიდებელი დეპუტატი.

ამ მომენტისთვის არსებული ინფორმაციით, საკანონმდებლო ორგანოში 5 ფრაქცია იმუშავებს. რეგლამენტის თანახმად, პარლამენტში ფრაქციის შესაქმნელად 5 კაცია საჭირო.

პატრიოტთა ალიანსი პარლამენტში 6 კაცით მოხვდა და ისინი მხოლოდ ერთ ფრაქციას შექმნიან. ფრაქციის თავმჯდომარე გიორგი ლომია იქნება.

27-კაციანი ენმ (პარლამენტში მოხვედრილი ნაციონალები ითხოვენ, რომ ასე იქნან მოხსენიებული) 2 ფრაქციის შექმნას აპირებს. ფრაქციებს ნიკა მელია და ელენე ხოშტარია უხელმძღვანელებენ.

– გვექნება ორი ფრაქცია. ერთს უხელმძღვანელებს ნიკა მელია, მეორეს – ელენე ხოშტარია. ჩვენი პრიორიტეტები იქნება ის მთავარი პრიორიტეტები, რომლებიც ქვეყანაშია და რომლებზეც უმრავლესობა არ ილაპარაკებს. ჩვენ ვიქნებით ხმა იმ ადამიანებისა, რომლებიც არ იქნებიან წარმოდგენილი „ქართული ოცნების“ საკონსტიტუციო უმრავლესობის მიერ, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში სერგი კაპანაძემ.

„ქართული ოცნება“, ენმ-ს მსგავსად, 2 ფრაქციას დაარეგისტრირებს. აქედან ერთს „ქართული ოცნება“ ერქმევა. მას მამუკა მდინარაძე უხელმძღვანელებს. მეორე ფრაქციას კახა ოქრიაშვილი და სხვა მაჟორიტარები დააფუძნებენ.

ჟურნალისტებთან საუბარში პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა არჩილ თალაკვაძემ განაცხადა, რომ პარტიის წიაღში კიდევ რამდენიმე ფრაქცია შეიქმნება. მათი დარეგისტრირება უკვე მთავრობის დამტკიცების შემდეგ მოხდება.

გავრცელებული ინფორმაციით, ფრაქციის შექმნის სურვილი 3 რაიონის მიერ არჩეულ ზაქარია ქუცნაშვილსაც აქვს.

პარლამენტს ასევე ეყოლება საპარლამენტო უმცირესობა და უმრავლესობა. უმრავლესობის ლიდერი არჩილ თალაკვაძე იქნება, უმცირესობის მწყემსვა კი ისევ დავით ბაქრაძეს მოუწევს.

პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე ირაკლი კობახიძეა წარდგენილი. პირველი ვიცესპიკერი თამარ ჩუგოშვილი იქნება.

თავისი ვიცესპიკერები ეყოლება ოპოზიციასაც. ალიანსიდან ამ თანამდებობას ირმა ინაშვილი დაიკავებს, ნაციონალებს კი სერგი კაპანაძე წარმოადგენს. ნაციონალები პირობას დებენ, რომ „ოცნებას“ მაქსიმალურ დისკომფორტს შეუქმნიან, ნიკა მელიას თქმით კი, საჭიროების შემთხვევაში, იჩხუბებენ კიდეც, რაც პარლამენტში დიდი სიახლე ნამდვილად არ იქნება.



სიახლეებს, სავარაუდოდ, პრეზიდენტისგან უნდა ველოდოთ. პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი გიორგი აბაშიშვილი ამბობს, რომ მარგველაშვილის გამოსვლა თვისობრივად განსხვავებული იქნება.

– საქართველოს პრეზიდენტი გახსნის მე-9 მოწვევის პარლამენტის სხდომას. დაგეგმილია პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლა, რომელიც თვისობრივად იქნება განსხვავებული პრეზიდენტის ყოველწლიური მიმართვებისგან. გახსნით სხდომაზე საქართველოს პრეზიდენტი ისაუბრებს არაერთ საინტერესო ინიციატივაზე და, ამავდროულად, ისაუბრებს საქართველოს პარლამენტთან თანამშრომლობის ახალ ფორმატებზე, – განაცხადა გიორგი აბაშიშვილმა.

# სახელმწიფო მინისტრი გელა დუმბაძე საქმიანობას დიპლომატიურ სამსახურში გააგრძელებს

დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გელა დუმბაძე დიპლომატიურ საქმიანობას დაუბრუნდება.

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

გიორგი კვირიკაშვილმა იმ მიღწევებზე ისაუბრა, რომელიც 4 წლის განმავლობაში დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა განახორციელა.

– ჩატარდა დიასპორის ფორუმი. ტექნიკური მიზეზის გამო, სამწუხაროდ, დასწრება ვერ მოვახერხე. მინდა აღვნიშნო გელა დუმბაძის, ჩვენი მეგობრისა და კოლეგის წვლილი ამ მიმართულებით.




მან ძალიან მნიშვნელოვანი ინიციატივები განახორციელა მინისტრობის პერიოდში. ეს იყო ჩვენი თანამოქალაქეების უფასოდ გადმოსვენება სამშობლოში და სამშობლოს მიწას მიბარება, რაც დიდი შვება იყო ჩვენი დიასპორის წარმომადგენლებისთვის.

ასევე მან დიდი წვლილი შეიტანა ლევილის მამულის საქართველოსთვის დაბრუნებაში იუსტიციის მინისტრთან ერთად. ეს იყო მართლაც ისტორიული მოვლენა საქართველოს უახლეს ისტორიაში, როდესაც საქართველოს დაუბრუნდა ლევილის მამული. აღსანიშნავია ათობით შეხვედრა საქართველოს დიასპორის წარმომადგენლებთან სხვადასხვა ქვეყანაში.

მე თვითონ მქონია ეს ბედნიერება, რომ ემოცია გაგვეცვალა ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლებთან, რომლებიც იმყოფებიან საქართველოსგან ძალიან მოშორებით. მინდა ვთქვა, რომ გელას როლი ამ მიმართულებით იყო ძალიან მნიშვნელოვანი, ვინაიდან პირდაპირ იგრძნობოდა ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლების მობრუნება ჩვენი ქვეყნისკენ და ეს იყო მინისტრის დიდი დამსახურება. მინდა, მადლობა გადაგიხადოთ. გელა უბრუნდება დიპლომატიას, – განაცხადა კვირიკაშვილმა.

მისივე თქმით, განხორციელდება სტრუქტურული ცვლილება და დიასპორის მიმართულება იქნება საგარეო საქმეთა სამინისტროში.

– ეს იქნება უმთავრესი მიმართულება, იქიდან გამომდინარე, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს აქვს ბუნებრივად ის რესურსი, რომელიც ამ მიმართულებით უნდა დაიხარჯოს და ჩვენ კიდევ უფრო ვაფართოებთ ამ მიმართულებით საქმიანობას, რათა თითოეული ჩვენი თანამოქალაქე იყოს ჩვენი ქვეყნის განუყოფელი ნაწილი. ასევე მინდა აღვნიშნო ისეთი მიღწევები, როგორიც იყო, მაგალითად, თურქეთში ქართული ენის სწავლების დაშვება, რაც ნამდვილად იყო ამ სამინისტროს მუშაობის შედეგი, – განაცხადა კვირიკაშვილმა.

პრემიერ-მინისტრმა გელა დუმბაძეს წარმატებები უსურვა. გიორგი კვირიკაშვილი დარწმუნებულია, რომ გელა დუმბაძე დიპლომატიური კორპუსის ერთ-ერთი ყველაზე ღირსეული წარმომადგენელი იქნება.

**ინტერპრესნიუსი**

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# სოსო შატბერაშვილი: „პარლამენტმა, პირველ რიგში, ლარის კურსს უნდა მიხედოს“

## „ნინო ბურჯანაძეს ჰქონდა შანსი, გამხდარიყო მესამე ძალის ლიდერი, მაგრამ მან ეს შანსი ვერ გამოიყენა“

მარიამ მჭედლიშვილი

ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა მემარცხენე ალიანსის გენერალურ მდივან **სოსო შატბერაშვილს**

***– დღეს, 18 ნოემბერს, იმართება მეცხრე მოწვევის პარლამენტის პირველი სხდომა. ახალ საკანონმდებლო ორგანოს ბევრი საქმე აქვს. როგორ ფიქრობთ, გაუმკლავდება ეს პარლამენტი არსებულ გამოწვევებს?***

– მართლაც, ეს პარლამენტი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. სიტუაცია განსხვავებულია. წინა 4 წელიწადი ურთიერთგადაბრალების პერიოდი იყო. კოალიცია „ქართული ოცნება“ ბრალდებებს უყენებდა ნაციონალურ მოძრაობას, უთანხმოება იყო მმართველი კოალიციის შიგნითაც. იყო თავის მართლება, რომ საკონსტიტუციო ცვლილებები ვერ ხორციელდება საკმარისი ხმების უქონლობის გამო. ერთი პარტია მეორეს აყვედრიდა, რომ პარლამენტში შეიყვანა. კოალიცია დაშლილია. პარტია „ქართულმა ოცნებამ“, ჟორჟოლიანის, ძიძიგურისა და გაჩეჩილაძის გარდა, ყველა მოკავშირე პარტია გაუშვა. ამ პარტიებიდან ბევრი დაიშალა, მაგალითად, თავისუფალი დემოკრატები, რესპუბლიკელები და ეროვნული ფორუმი. ამ პარტიებმა არ დაუფასეს ამაგი ბიძინა ივანიშვილს და დაუწყეს ბრძოლა ჯერ კიდევ მაშინ, როცა კოალიციის წევრები იყვნენ. ყველაზე ცუდი ისაა, რომ მათი პოზიციები ძალიან ხშირად ემთხვეოდა ნაციონალური მოძრაობის პოზიციებს. ამ პარლამენტში სხვა ვითარებაა. პარტია „ქართულ ოცნებას“ საკონსტიტუციო უმრავლესობა აქვს და სხვა პარტიებიც აღარ უშლიან ხელს.

***– „ქართულ ოცნებას“ დაბრკოლებები აღარ ექნება?***



– მას სრული თავისუფლება აქვს. არ ვიცი, შეასრულებს თუ არა 100%-ით მმართველი პარტია წინასაარჩევნო დაპირებებს. პარლამენტს მოვუწოდებ, პირველ რიგში, ლარის კურსს მიხედოს. ლარის გაუფასურება მოსახლეობის უპირველესი პრობლემაა. თუ ამას ფასების მატებაც მოჰყვა, ქვეყანაში ეკონომიკური კატასტროფა იქნება. ამიტომ პარლამენტმა უნდა მიიღოს ზომები ლარის სტაბილიზაციისთვის.

***– არიან საამისოდ საკმარისი პროფესიონალები ამ პარლამენტის შემადგენლობაში?***

– სპეციალისტები თითზე ჩამოსათვლელი არიან. გაგრძელდა საკანონმდებლო ორგანოში სპორტსმენების, მომღერლების, მსახიობებისა და რეჟისორების შეყვანის ტრადიცია. ალბათ, პარლამენტის წევრები ხელშეკრულებებით სპეციალისტებს აიყვანენ მრჩევლებად – იურისტებს, კონსტიტუციონალისტებს, ეკონომისტებს, ინჟინრებს. სხვანაირად მათ გაუჭირდებათ. პირველ რიგში, მისახედია ეკონომიკა. რუსეთის ბაზარი სრულად უნდა გაიხსნას ჩვენი პროდუქციისათვის. ტერიტორიული მთლიანობა რთული და გლობალური საკითხია და მის მოგვარებას დრო სჭირდება. პარლამენტმა მოქალაქეების თავისუფალ გადაადგილებაზეც უნდა იზრუნოს. ჩვენი მოსახლეობა უვიზოდ უნდა გადაადგილდებოდეს ევროპის სახელმწიფოებში. ეს საკითხი, პრაქტიკულად, გადაწყვეტილია.. თუ პარლამენტი სწორად იმოქმედებს, ჩვენი ხალხი რუსეთშიც უვიზოდ ივლის. რუსეთის პრეზიდენტმა რამდენიმე დღის წინაც გამოთქვა მზადყოფნა, გაიმართოს დიალოგი ვიზების გაუქმებასთან დაკავშირებით. ეს წაადგება ჩვენს ეკონომიკას.

### „ნაცმოძრაობა პარლამენტში უგულავასა და მელიას ჯგუფებად დაიყოფა“

***– საარჩევნო სისტემას თუ გააუმჯობესებს ეს პარლამენტი?***

– „ქართულ ოცნებას“ გაცხადებული აქვს, რომ 2020 წლისთვის გააუქმებს მაჟორიტარულ სისტემას. ეს არის დაპირება. როგორც მაიაკოვსკი საუბრობდა ბიუროკრატიზმის შანთით ამოწვაზე, ისეა ამოსაწვავი მაჟორიტარული სისტემა, რომელიც ხელს უშლის სამართლიანი არჩევნების ჩატარებას. ევროპელი კოლეგების რეკომენდაციაც არის, რომ პარლამენტი აირჩეს პროპორციული, ასევე რეგიონულ-პროპორციული წესით. აქედან 100 დეპუტატი პროპორციულად აირჩევა. იმედი მაქვს, „ქართული ოცნება“ ამ დაპირებას შეასრულებს.

***– ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ამ პარლამენტის შემადგენლობიდან ახალი ძალები შეიქმნება.***

– ამ პარლამენტიდან ახალი სუბიექტების შექმნა მოსალოდნელი არ არის. „ქართული ოცნების“ უმრავლესობაში ვერ ვხედავ იმ ჯგუფებს, რომლებიც შეიძლება, პარტიებად გადაკეთდნენ და „ოცნებას“ გაუწიონ ოპონირება. მოსალოდნელია ნაცმოძრაობის გაყოფა. ნაციონალური მოძრაობა მხოლოდ სიმბოლურ ფრაქციებს არ შექმნის. უმცირესობა გაიხლიჩება ბოკერიას, ანუ ანტიმიშისტებისა და მელიას, ანუ მიშისტების ჯგუფებად. ისინი ერთმანეთს დაუპირისპირდებიან. სააკაშვილის ბოლო ინტერვიუ რომ მოვისმინე, დავრწმუნდი, რომ მისი საქმიანობა საქართველოს პოლიტიკაში დასრულდა. ის უკრაინაშია და იქ ცდილობს მღვრიე წყალში თევზის დაჭერას. თუ რუსთავი 2 მოდავე მხარეს გადაეცა, მაშინ სააკაშვილს ეს ტრიბუნაც გამოეცლება ხელიდან.

***– ახალი სუბიექტები პარლამენტის გარეთ გაჩნდებიან?***

– დიახ. მესამე პოლიტიკურ ძალაზე, ცენტრზე დიდი ხანია, ლაპარაკობენ. ნინო ბურჯანაძეს ჰქონდა შანსი, გამხდარიყო ასეთი გაერთიანების ლიდერი. მან ეს შანსი დაკარგა. ნინო ბურჯანაძეს თბილისის საკრებულოშიც დაეშალა ფრაქცია. მისმა პარტიამ ვერ გადალახა ბარიერი ბოლო არჩევნებზე. ადგილობრივი არჩევნების დროს ჩვენ ერთად გვქონდა კოალიცია. ეს კოალიცია ისე დაშალა, რომ საქმის კურსშიც კი არ ჩავუყენებივართ. მესამე ძალა, დიდი გაერთიანება, აუცილებლად შეიქმნება პარლამენტის გარეთ. ჩვენი პარტია ყოველმხრივ აქტიური იქნება. გავაგრძელებთ ინიციატივების წარდგენას პარლამენტში. ეს ინიციატივები ხალხის პრობლემებს ეხება და, არა მგონია, საკანონმდებლო ორგანომ მათი იგნორირება მოახდინოს.

# გია ცაგარეიშვილი: „თანამდებობა ჩემთვის არავის შემოუთავაზებია“

## „მე-8 მოწვევის პარლამენტში ყოფნა თუნდაც ამნისტიის გამო ღირდა“

ნათია ხურცილავა

სამი მოწვევის პარლამენტის ყოფილი წევრი, ყოფილი თავისუფალი დემოკრატი **გია ცაგარეიშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მე-8 მოწვევის პარლამენტის საქმიანობას აფასებს.

***– ბატონო გია, მე-8 მოწვევის პარლამენტის საქმიანობას როგორ შეაფასებთ? შეძელით თქვენ, როგორც კანონმდებელმა, ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი კანონების მიღება თუ მეტის გაკეთება შეგეძლოთ?***

– მე-8 მოწვევის პარლამენტი პოსტსააკაშვილისეულ პერიოდში შეუდგა მუშაობას. ამ ფაქტორმა ზოგადად დაღი დაამჩნია პარლამენტის მუშაობას. უამრავი რამ იყო გამოსასწორებელი, განსაკუთრებით – ადამიანის უფლებების კუთხით. პირველი, რაც გავაკეთეთ, იყო სწორედ ამ მიმართულებით სერიოზული ნაბიჯის გადადგმა. ვგულისხმობ პირველ საკანონმდებლო აქტს – ამნისტიას, რომელიც მე-8 მოწვევის პარლამენტმა გამოსცა. უამრავი ადამიანი ფიზიკურ სიკვდილს გადავარჩინეთ. 25 ათასი პატიმარი იყო მოთავსებული საპყრობილეში სააკაშვილის მმართველობის დროს. ამნისტია ნამდვილად იყო მნიშვნელოვანი აქტი და მხოლოდ ამის გულისთვის ღირდა მე-8 მოწვევის პარლამენტში მუშაობა.

***– იმ პარლამენტში განსაკუთრებულად რას გამოყოფდით?***

– დებატებს. ზოგადად დებატების გარეშე შეუძლებელია პარლამენტარიზმისა და თავად დემოკრატიის არსებობა, თუმცა საზოგადოებამ იცის, თუ ვისთან გვქონდა ჩვენ დებატები. ეს იყო ადამიანების დიდი ნაწილი, რომელთაც თავი შეაფარეს პარლამენტს, რომ ციხეში არ წასულიყვნენ. დარწმუნებული ვარ, არიან მათ შორის ადამიანები, რომლებიც სასჯელს უნდა იხდიდნენ.

***– ნაციონალურ მოძრაობაზე ამბობთ?***

– დიახ. ჩვენ სწორედ ამ ადამიანებთან გვიწევდა ორთაბრძოლა. ბევრი ფიზიკური შეხლა-შემოხლაც იყო, რაც ნამდვილად არ ამშვენებს პარლამენტსა და პარლამენტარს. მე-8 მოწვევის პარლამენტი დაღდასმული იყო მკაცრი პოლარიზებით. ეს იყო თვალშისაცემი პოლარიზება. ხშირ შემთხვევაში ეს ყველაფერი პიკს აღწევდა და შეხლა-შემოხლაში გადადიოდა. ამ დროს ჭირს საკანონმდებლო საქმიანობა, კანონშემოქმედებითობა. დიდი იმედი მაქვს, მე-9 მოწვევის პარლამენტი ამ ემოციებისგან დაცლილი იქნება და სხვანაირად შეხედავს მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

***– არის ისეთი კანონპროექტი, რომლის მიღებაც რეალურად შეეძლო მე-8 მოწვევის პარლამენტს და ვერ მიიღო?***

– რა თქმა უნდა.

***– ეს ხომ არ არის საარჩევნო კანონი?***

– რა თქმა უნდა. ასევე შეეძლო, რეალური ცვლილებები შეეტანა კონსტიტუციაში. ძალიან ნაყოფიერად შეიძლებოდა ამ მიმართულებით მუშაობა. მკვდრადშობილი საკონსტიტუციო კომისია ვერა და ვერ იკრიბებოდა, კვორუმს ვერ ვაგროვებდით. ნამდვილად იყო ეს პრობლემები. სასტიკმა პოლარიზებამ, ხშირად ახირებულმა მოქმედებამ, რომელიც ბოიკოტის რეჟიმში გადადიოდა ნაციონალური მოძრაობის მხრიდან, პარლამენტის მუშაობა პარალიზებული გახადა.



***– ოპოზიციაში როდესაც გადახვედით, მერე თანამშრომლობა როგორი იყო უმრავლესობასთან? მახსოვს, რა ხმაურიანად დატოვეთ კომიტეტის თავმჯდომარეების პოსტები.***

– დიახ, ოპოზიციაში ყოფნის დროსაც იყო საკანონმდებლო ინიციატივები, რომლებიც განვახორციელეთ და რომლებიც ვერ გავიტანეთ, ასევე იყო დადგენილება, რომელიც ვიქტორ დოლიძეს ეკუთვნოდა და რომელიც პარლამენტმა ერთხმად მიიღო. იყო პრობლემებიც, უმაგისობა ნამდვილად არ ყოფილა, მაგრამ, როდესაც კონსტრუქციულად ხარ განწყობილი, მუშაობა შეიძლება. მე ვიყავი გარემოს დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ორწელიწად-ნახევარი. ეს კომიტეტი, ფაქტობრივად, გარდაცვლილი იყო და ჩვენ წამყვან კომიტეტად ვაქციეთ. ამ მოწვევის პარლამენტმა გარემოს დაცვის სფერო განადგურებისგან იხსნა, სამინისტრო აღადგინა და ფეხზე დააყენა.

***– ნაციონალური მოძრაობა შეგეწინააღმდეგებათ, ამას რომ ამბობთ.***

– რაში შემეწინააღმდეგება?! ჩემი წინამორბედი კაკო ბობოხიძე იყო კომიტეტის თავმჯდომარე და ოთახში არ შესულა. რაში უნდა შემეწინააღმდეგოს კაკო ბობოხიძე? მე გარემოს დაცვის კომიტეტი მოწინავე კომიტეტად ვაქციე. ეს არ არის ჩემი სიტყვები.

***– დავით უსუფაშვილის, როგორც პარლამენტის თავმჯდომარის საქმიანობას როგორ შეაფასებთ?***

– დავით უსუფაშვილი უდავოდ საუკეთესო თავმჯდომარე იყო, ბევრად უკეთესი, ვიდრე ბურჯანაძე, ბევრად უკეთესი, ვიდრე ბაქრაძე.

***– რა გამოარჩევდა?***

– განსხვავებული თამაშის წესი. ის იყო ძალიან ღია, საჯარო და კოლეგიალური.

***– კულუარული არ იყო?***

– ნამდვილად არ ყოფილა კულუარული. ის იყო პირდაპირი და კოლეგიალური. მახსოვს, ღამის 3-4 საათამდე უმრავლესობის სხდომებზე იყო და ჩვენთან თანამშრომლობის შედეგად იღებდა გადაწყვეტილებას. ნამდვილად ბევრი რამ გააკეთა, რომ როგორმე შიგნით არსებული სიტუაცია გამოესწორებინა, სანამ ამის პოლიტიკური რესურსი ჰქონდა. შემდეგ, რაც ჩვენ დავტოვეთ კოალიცია, ძალიან დაიძაბა ვითარება კოალიციის შიგნით.

***– თითქმის დადასტურებულია, რომ თქვენი ყოფილი თანაგუნდელი ვიქტორ დოლიძე სახელმწიფო მინისტრის პოსტზე მიიღებს შეთავაზებას. თქვენ რაიმე შეთავაზება მიიღეთ?***

– არა, არანაირი შემოთავაზება არ ყოფილა, არცერთ მთავრობის წევრთან შეხვედრა არ მქონია. ეს ყველაფერი იყო ყურით მოთრეული ჭორები იმ ადამიანების მიერ, რომლებიც ქართულ პოლიტიკაში ღალატს ამკვიდრებდნენ.

***– პარტიის დატოვება თქვენი არჩევანი იყო?***

– მე გავაკეთე ის, რაც უნდა გამეკეთებინა. მე მართალი უნდა ვყოფილიყავი საკუთარი თავისა და შვილების წინაშე. როდესაც არჩევანი დაუდგა ხალხს – „ქართული ოცნება“ თუ ნაციონალური მოძრაობა? მე ნაციონალური მოძრაობის მხარეს ვერ დავდგებოდი. ეს ჩემთვის, ჩემი ოჯახისთვის ტრაგედია იქნებოდა. ვერც შუაშისტი ვერ გავხდებოდი, რადგან ასე არ მიცხოვრია.

# შოთა ხაბარელი: „სააკაშვილი გაკოტრებული ადამიანია“



„ქართული ოცნების“ წევრ შოთა ხაბარელის განცხადებით, მიხეილ სააკაშვილი გაკოტრებული ადამიანია, რომელსაც არც საქართველოში და არც უკრაინაში არანაირი რესურსი არ გააჩნია. ამის შესახებ შოთა ხაბარელმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

„ქართული ოცნების“ წევრმა უკრაინაში მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით განვითარებულ მოვლენებზე კომენტარი გააკეთა.

– ძალიან კარგია, რომ მიხვდნენ, ეს ადამიანი არ არის მოწოდებული ქვეყნის აღმავლობისთვის. ის დამანგრეველია. ჩვენ ეს ვიხილეთ საქართველოში და ახლა უკვე უკრაინაში.

მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. მას არანაირი პოტენციალი არ გააჩნია იმისა, რომ ქვეყანა მართოს ან დადებითი პროცესები გამოიწვიოს. ის მოწოდებულია მხოლოდ ნგრევისკენ, არეულდარეულობისკენ. ჩვენ ამის მომსწრენი გავხდით, – აღნიშნა ხაბარელმა.

მისივე თქმით, უკრაინის ხელისუფლებამ მიიღო სრულიად მართებული გადაწყვეტილება, როცა სააკაშვილი ოდესის გუბერნატორის თანამდებობას ჩამოაცილა და სააკაშვილის მიერ უკრაინაში თანამდებობებზე ჩაყვანილი ადამიანებიც ზუსტად ისევე, ზედიზედ მიჰყვნენ მას.

– დარწმუნებული ვიყავით, ასეც იქნებოდა. უბრალოდ, ცოტა დიდი დრო დასჭირდა ამას, რომ კარგად შეესწავლათ, გაეგოთ, რას წარმოადგენდა მიხეილ სააკაშვილი და ეს მოხდა. ახლა ის გაკოტრებული ადამიანია.

მას არანაირი რესურსი აღარ გააჩნია აღარც საქართველოში და აღარც უკრაინაში. ის მოძრაობები, რომლებიც მან წამოიწყო, პირდაპირ არის მიმართული იქითკენ, რომ სულ მალე კრახს განიცდის. ის ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ მიხეილ სააკაშვილს რაღაც შეუძლია, დარწმუნდებიან, მას არანაირი რესურსი არ დარჩა, – აღნიშნა ხაბარელმა.

**ინტერპრესნიუსი**

# ჯემალ გამახარია: „თურქეთში აფხაზური გაზეთი აღარ უნდა გამოვაცემინოთ“

გულიკო ბალაძე

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **ჯემალ გამახარია** აცხადებს, რომ თურქეთში აფხაზი სეპარატისტების მხარდამჭერი გაზეთი აღარ უნდა გამოვიდეს.

***– ბატონო ჯემალ, მოგეხსენებათ, თურქეთში აფხაზი სეპარატისტების მხარდამჭერი გაზეთი გამოვიდა. მახსოვს, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დელეგაციისა და თურქეთში მცხოვრები აფხაზების შეხვედრები იმართებოდა ანკარაში.***

– მეც ვიყავი იმ დელეგაციაში. აფხაზების სახელით ერთ პიროვნებას შევხვდით და ძალიან ცივად მიგვიღეს.

***– რას გეუბნებოდნენ? მთლიანად უჭერენ მხარს სეპარატისტებს?***

– დიახ, მთლიანად უჭერენ მხარს. ვნახოთ, თურქეთში მორიგი ნომერი გამოვა თუ არა.

***– როგორც ჩანს, ეს კეთდება იქაური მუჰაჯირი აფხაზების მონაწილეობით. რა შეუძლია ქართულ მხარეს გააკეთოს ოფიციალურად თუ სახალხო დიპლომატიის კუთხით?***

– ჩვენს მეზობელ და სტრატეგიულ პარტნიორ ქვეყანაში ასეთი სამწუხარო ფაქტი ხდება. გაზეთის გამოცემა დემოკრატიულ ქვეყანაში ყველას შეუძლია, მაგრამ, როდესაც საუბარია სეპარატიზმის მხარდაჭერაზე, ვითომ აფხაზეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოა, იქ სხვა პრობლემასთან გვაქვს საქმე. თურქეთში ახლა რთული ვითარებაა. ამ დროს და ამ ვითარებაში ასეთი გაზეთის გამოსვლა მე ძალიან საგანგაშოდ მეჩვენა.

***– ეს რაღაც ირიბი გაფრთხილება შეიძლება იყოს თურქეთის ოფიციოზის მხრიდან, რომ, თუ ჭკვიანად თუ არ იქნებით...?***

– არ მინდა ძალიან დრამატული სურათი დავხატო, მაგრამ ამ ვითარებაში დღევანდელ თურქეთში აშკარად სეპარატისტული გაზეთის გამოსვლა, რომელიც ეწინააღმდეგება თურქეთის ოფიციალურ პოლიტიკას, დამაფიქრებელია, თუმცა ამის გამოსწორება შესაძლებელია.

***– როგორ?***

– იმ სახით გაზეთის შემდეგი ნომერი აღარ უნდა გამოვიდეს. სეპარატიზმისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის რღვევის პროპაგანდა ნატოს წევრ ქვეყანაში არ უნდა მიმდინარეობდეს. მივესალმები როგორც თურქეთის ოფიციალური ხელისუფლების, ასევე თურქეთში ჩვენი საელჩოსა და თურქეთში მცხოვრები ქართველების დამოკიდებულებას ამ საკითხისადმი. იმედი მაქვს, მორიგი ნომერი ან საერთოდ არ გამოვა, ან სხვა სახით გამოვა. კულტურული ხასიათის გამოცემა თუ იქნება, ჩვენ მას არ შევეწინააღმდეგებით. თუ გაზეთი გააგრძელებს თავის სეპარატისტულ პოლიტიკას, ყველა საშუალებით უნდა დავუპირისპირდეთ დიპლომატიური თუ სხვა არხებით.

***– შეიძლება, ამგვარი გაზეთის გამოცემაში რუსეთის ხელი ერიოს?***

– რუსეთის ხელი იმდენად გრძელია, რომ შეუძლია, ყველგან ჩაერიოს, მაგრამ, არა მგონია, ეს რუსეთის ჩარევით განხორციელებულიყო, თუმცა თურქეთში რუსეთის საელჩო ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ თურქეთში მცხოვრები აფხაზის მხარდაჭერა მოიპოვოს. რუსეთს ჰყავს ძალიან დიდი აგენტურა თურქეთში მცხოვრები აფხაზების სახით. რუსეთმა ისიც მშვენივრად იცის, რომ თურქეთში მცხოვრები აფხაზები და, საერთოდ, კავკასიური დიასპორა რუსეთის სასტიკი მოწინააღმდეგეა. ამიტომ რუსეთი ცდილობს, იქ თავისი გავლენა გააფართოოს – აგენტურა შექმნას.

***– თურქეთში მცხოვრები კავკასიური დიასპორა რუსეთის წინააღმდეგიაო, მაგრამ სეპარატიზმს რომ უჭერს მხარს? აფხაზური სეპარატისტული ხელისუფლებაც რუსეთთან მჭიდრო კავშირშია.***

– დე ფაქტო ხელისუფლება, ფაქტობრივად, საოკუპაციო რუსული ხელისუფლებაა. არის ანექსიის ნიშნებიც. ბოლო პერიოდში ხელმოწერილი ხელშეკრულებები ზუსტად ანექსიის ნიშანია.

***– ერთობლივი საჯარისო ფორმირების შექმნა, ხელშეკრულებები. თუ რუსეთი არ უყვართ, რატომ უჭერენ მხარს რუსულ გეგმას?***

– ჩვენ ვსაუბრობთ თურქეთში მცხოვრებ აფხაზებსა და კავკასიელებზე, რომლებსაც სძულთ რუსები. ისინი გვეუბნებოდნენ, როცა ვხედავთ რუსებს, პირდაპირ მათი ყურება არ შეგვიძლია. მზად ვართ, ვესროლოთ, მაგრამ, იძულებული ვართ, მოვითმინოთ, რადგან მათ აფხაზეთი აღიარეს, მხარს უჭერენ აფხაზეთის დამოუკიდებლობას, ამიტომ ჩვენ დროებით ამას ვითმენთო. რუსებმა მშვენივრად იციან, როგორია მათ მიერ კავკასიიდან გასახლებული ადამიანების დამოკიდებულება. თურქეთში მცხოვრებ კავკასიელებში, განსაკუთრებით, აფხაზებში ჰყავს დაქირავებული ადამიანები, რომლებიც ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევიან არა მარტო საქართველოს, არამედ თურქეთის წინააღმდეგაც. გამორიცხულია, ეს თურქებმა არ იცოდნენ და მას ანგარიშს არ უწევდნენ. სეპარატისტების ასე გალაღება არა მარტო ჩვენ წინააღმდეგაა მიმართული, არამედ თურქეთის წინააღმდეგაც.

***– სეპარატიზმის პრობლემა ხომ თურქეთსაც აწუხებს?***

– დიახ, ქურთებზეა საუბარი. ისინი მხარს



უჭერენ აფხაზეთის ე.წ. დამოუკიდებლობას, აფხაზებს. ხშირად აფხაზები და ქურთები ერთად მოქმედებენ. თურქეთის სახელმწიფო ინტერესებშია, გასაქანი არ მისცეს სეპარატიზმს, რომელიც საქართველოს წინააღმდეგაა მიმართული.

***– თურქეთში თქვენი დელეგაციების შეხვედრების მიზანი ვერ გაიგეს?***

– თურქეთში ჩვენი დელეგაციების მიზანი თურქეთის ხელისუფლებასთან აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების მიერ კონტაქტების დამყარება, მათთვის ჩვენი პოზიციის გაცნობა იყო. თურქეთის ხელისუფლებამ ძალიან მაღალ დონეზე მიგვიღო. შეხვედრები გვქონდა ქართულ დიასპორასთან. აფხაზურ დიასპორასთან შეხვედრა ვერ მოხერხდა. მათ ამის სურვილი არ გამოთქვეს, მაგრამ შევხვდით ცალკეულ პირებს. ისინი სხვადასხვა პოზიციაზე იყვნენ.

ანკარაში ჩვენ შევხვდით აფხაზ მოღვაწეს, რომელიც, ფაქტობრივად, პროქართულ პოზიციაზე იდგა. ძალიან თბილი შეხვედრა და საუბარი გვქონდა ერთ უაღრესად განათლებულ პიროვნებასთან, თუმცა, შევხვდით ისეთ პიროვნებასაც, რომელთან საუბარმაც ძალიან ცივ ვითარებაში ჩაიარა. ის ახალგაზრდა კაცი ზუსტად იმ პოზიციას გამოხატავდა, რომელიც ჩვენ სოხუმიდან, საოკუპაციო ხელისუფლებისაგან გვესმის. იმ ახალგაზრდამ, რომელიც თურქეთში აფხაზური დიასპორის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი და ხელმძღვანელია, კარგად გაიგო ჩვენი პოზიცია. ჩვენც გავიგეთ მისი პოზიცია. სწორედ ამ თვალსაზრისით შეიძლება ვთქვათ, რომ გარკვეული შედეგი გვქონდა.

***– პრეტენზია რაზე ჰქონდათ?***

– შეხვედრაზე ისეთი გარემო იყო, რომ ადა მარშანია შეხვედრიდან წავიდა, ვიდრე ის დასრულდებოდა.

***– რატომ არ დაელოდა შეხვედრის დამთავრებას?***

– რთული ვითარება იყო. ძალიან ცივად შეგვხვდნენ.

***– რას გეუბნებოდნენ, რა გვინდაო?***

– ის ახალგაზრდა ჩვენგან მოითხოვდა აფხაზეთის აღიარებასა და თავდაუსხმელობის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერას, რასაც პირველ ეტაპზე ჟენევაში მოითხოვდნენ. საკვირველი ის იყო, რომ ის არა მარტო აფხაზეთის, არამედ ცხინვალის რეგიონის აღიარებასაც მოითხოვდა. ჩვენ მას ვუთხარით, ცხინვალის რეგიონი რუსეთთან შეერთებას მოითხოვს და ჩვენ როგორ უნდა ვაღიაროთო. ეს მათთვის სიახლე იყო. ის ახალგაზრდა კაცი ამბობდა, რომ აღიარების შემდეგ დარაზმავდა მთელ აფხაზობას, მთელ კავკასიას და გაუმართავდა ომს რუსეთს საქართველოს დასაცავად, რაც ზღაპრები იყო.

***– თუ ეწინააღმდეგებოდა საქართველოს, თან როგორ უნდა დაეცვა?***

– დაიცავდა იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ ვაღიარებდით.

***– ის მარტო იყო თუ რაიმე სახის ძალა ედგა გვერდით?***

– ის იყო ერთი პიროვნება, მაგრამ – იმ დიასპორაში გარკვეული გავლენის მქონე. მან თქვა, რომ ხშირად ჩადის სოხუმში, იცნობს იქაურ ხელმძღვანელობას.

კიდევ ერთი დეტალი – რადგან მისი გვარი არ ჰგავდა აფხაზეთში გავრცელებულ გვარებს, ვკითხეთ, საიდან იყვნენ მისი წინაპრები.

***– რა გვარი იყო?***

– არ მახსოვს. გაირკვა, რომ მისი წინაპრები დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიიდან კი არ არიან, არამედ სოჭის იქით ცხოვრობდნენ. ჩვენ მას ვუთხარით, რომ ის აფხაზი არ არის და საქართველოს ტერიტორიულ საკითხებთან დაკავშირებით საუბრის მორალური უფლება არ ჰქონდა.

***– რა ეროვნების იყო?***

– მათ იქ ყველას აბაზებს ეძახიან. ფაქტობრივად, ჩერქეზი იყო. მისი მშობლები იბრძოდნენ სეპარატისტების მხარეს და, იქიდან გამომდინარე, მხარს უჭერდა სეპარატისტებს.

***– თურქეთში აფხაზური ორგანიზაციები არის?***

– დიახ, ძალიან ორგანიზებული ორგანიზაციებია.

***– რას საქმიანობენ?***

– კულტურული იდენტობის შენარჩუნებაზე მუშაობენ. ახლახან თურქულ ენაზე გამოვეცით წიგნი, რომელიც ასახავს აფხაზეთის რეალურ ისტორიას ყველა ასპექტში და შევიტანეთ თურქეთში. იმედი გვაქვს, იქაური აფხაზები მას დიდი ინტერესით გაეცნობიან.

# „მე სააკაშვილის მძევალი ვიყავი“

## პროკურატურამ ნორა კვიციანი გაამართლა

შორენა მარსაგიშვილი

ელოდა თუ არა პროკურატურისგან გამართლებას, აპირებს თუ არა ყოფილი ხელისუფლებისთვის ჩივილს, რატომ ეშინია მისი ძმისა და ნაციონალების შეხვედრის გამო? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ყოფილი პოლიტპატიმარი ნორა კვიციანი ესაუბრება.

**ნორა კვიციანი:**

– დღეს მე ვარ უბედნიერესი ქალი. საქართველოს მთავარმა პროკურატურამ ჩემი საქმე ხელახლა გამოიძია და უდანაშაულოდ მცნო. დამნაშავე რომ არ ვიყავი, ამაში ხალხს ისედაც არ ეპარებოდა ეჭვი და დიდი მადლობა მათ ამისთვის. იმედია, ადრე თუ გვიან ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს მოუწევთ იმაზე პასუხისგება, თუ რატომ გაგვიმეტეს ასე. 6 წელი გავატარე ციხეში. აქედან წელიწადზე მეტი კრიტში ვიყავი.

მთავარმა პროკურატურამ დეტალურად შეისწავლა ჩემი საქმე და დაადგინა, თუ რატომ გამიშვეს ციხეში. საგამოძიებო უწყების დასკვნაში პირდაპირ წერია, რომ კოდორისგან ჩამოცილებისა და გაქცეულ ემზარ კვიციანზე ზემოქმედების მოხდენის მიზნით სამართალდამცავებმა ჩემი შეპყრობა გადაწყვიტეს.

დასკვნაში ისიც წერია, რომ 2006 წლის 27 ივლისს შს სამინისტროს კონტრტერორისტული ცენტრის თანამშრომლებმა თავისუფლება უკანონოდ აღმიკვეთეს, ამასთან, ყოველგვარი დაკავების ოქმის შევსებისა და სამართლებრივი პროცედურების დაცვის გარეშე, უფლებების უხეში დარღვევით, გადამიყვანეს თბილისში, მოდულის შენობაში, მხოლოდ 29 ივლისს, ჩემი შეპყრობიდან 2 დღის შემდეგ, დაიწყეს ყალბი მტკიცებულებების შექმნით პროცესების სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევა.

***– თავიდან ითქვა, რომ იარაღის უკანონოდ ტარების გამო დაგაკავეს.***

– დაწერეს, თითქოს ეს იარაღი 29 ივლისს ამოიღეს ჩემი სახლიდან. არადა, იმ დროს უკვე დაკავებული ვიყავი, ჩემი სახლი კი სააკაშვილის ჯალათებს შტაბად ჰქონდათ გადაქცეული. იარაღის ამბავი რომ არ გაუვიდათ, ახალი ბრალდება მოიგონეს ჩემთვის.

მძიმე სასჯელის დაკისრების მიზნით წარმიდგინეს მითვისების ცრუ ბრალდება, თითქოს 2005 წელს ჰუმანიტარული საქონელი, რომელიც სოფელ ჩხალთის მოსახლეობისთვის უნდა დამერიგებინა, მე მიითვისე.

***– ამ მითვისებაზე მოწმეებმაც ხომ მისცეს ჩვენება?***

– ის მოწმეები დააშინეს და ტყუილი ჩვენება მიაცემინეს. ამ ხალხმა ამის შესახებ პროკურატურასაც უამბო. ამ საქმეში ჩემი გამართლება ერთ დოკუმენტს შეეძლო, რომელიც წინა ხელისუფლების წარმომადგენლებს მოპარული ჰქონდათ.

***– რომელ დოკუმენტზე საუბრობთ?***

– როდესაც ხეობაში ჰუმანიტარული დახმარება რიგდებოდა, დგებოდა სია, თუ ვინ რა ოდენობის დახმარება მიიღო. ხალხი ამას ხელმოწერით ადასტურებდა. 2005 წელსაც იმავენაირად შედგა სია. დოკუმენტი კონტროლის პალატაში გადაიგზავნა. ეს უწყება შემოწმებას ატარებდა ხოლმე.

როცა მითვისების ბრალდებით დამიმძიმეს ბრალი, დავიწყეთ ამ დოკუმენტის მოძიება, მაგრამ ვერსად ვიპოვეთ. ეს მნიშვნელოვანი საბუთი პროკურატურამ 10 წლის თავზე იპოვა. გაირ-




კვა, რომ ის ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებმა მოიპარეს და გადამალეს. ამასთან დაკავშირებით კონტროლის პალატის თანამშრომლებმაც მისცეს ჩვენება. ამ დოკუმენტის ასლი ახლა ჩემს ხელთაა და მისი წყალობით ჩემი უდანაშაულობა დამტკიცდა.

***– თქვენი უდანაშაულობა დამტკიცებულია. არ აპირებთ ჩივილს იმის გამო, რომ ციხეში 6 წელი გაატარეთ?***

– ეს ძალიან მძიმე წლები იყო. ბევრი რამე გამოვიარე, მაგრამ ციხემ ერთი კარგიც მომცა – რწმენა გამიძლიერდა. ყველაფერს სხვა თვალით შევხედე. შურისძიებას არ ვაპირებ, თანაც ახლა ჩემი უდანაშაულობა დამტკიცებულია.

***– არც მორალური ზარალის ანაზღაურებას მოითხოვთ?***

– ამას სასამართლო გადაწყვეტს. ახლა ჩემს საქმეზე სასამართლოშიც დაიწყება მსჯელობა. გარდა იმისა, რომ ციხეში გამიშვეს, ნაციონალებმა 78.000 ლარის ოდენობის ჯარიმაც დამაკისრეს, თითქოს ამ ოდენობის ზარალი მივაყენე ქვეყანას. ამ ჯარიმის გამო ვერ გადავიფორმე ბინა, რომელიც, როგორც დევნილს, ისე გადმომცეს.

***– ეს ბინა რომ გადაგეფორმებინათ, რა მოხდებოდა?***

– აღსრულების ბიურო წაიღებდა. იმედი მაქვს, სასამართლო ამ ვალსაც ჩამომაწერს. სხვა მხრივ, არანაირად არ ვაპირებ ნაციონალებისთვის ჩივილს. მათ სინდისზე იყოს ციხეში გატარებული ჩემი წლები.

***– გინდათ თქვათ, რომ აპატიეთ?***

– მე მორწმუნე ადამიანი ვარ, ამიტომაც არ ვაპირებ ვინმესთვის სამაგიეროს გადახდას. ისინი კანონისა და უფლის წინაშე აგებენ პასუხს. ამ ხალხს დემოკრატიის მშენებლობაზე ჰქონდა პრეტენზია და უამრავი დანაშაული ჩაიდინეს. მე, ფაქტობრივად, მძევლად ამიყვანეს და პირდაპირ მომთხოვეს, ჩაგვბარდნენ შენი ძმა და შვილი და გაგიშვებთო. ამ გარიგებაზე წასვლას სიკვდილი მერჩივნა. არც შეწყალება მითხოვია სააკაშვილისთვის, რომლის მძევალიც ვიყავი. დღეს თავისუფალი და გამართლებული ვარ, სამაგიეროდ, სააკაშვილს ელოდება ბევრი სასამართლო. სხვა ბევრ დანაშაულთან ერთად, მას კოდორის საქმეზეც მოუწევს სასჯელის მოხდა.

***– გჯერათ, რომ მას გაასამართლებენ?***

– დამნაშავეები ბოლოს მაინც ისჯებიან. სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარტო კოდორის ხეობის ჩაბარებისთვის ეკუთვნის მას უდიდესი სასჯელი. ის სხვა ნაციონალებთან ერთად არის სამშობლოს მოღალატე და გამყიდველი. არადა, რამდენი წელი მოგვიხსენიებდნენ ამ იარლიყებით მე და ჩემს ძმას.

ჩემი ემზარი პატრიოტთა ალიანსთან ერთად პარლამენტში შევიდა. მას ყოველდღე მოუწევს ნაციონალებთან კონტაქტი და ამის გამო ძალიან ვნერვიულობ.

***– რატომ ნერვიულობთ, ფიქრობთ, რომ მათ შორის კონფლიქტი მოხდება?***

– ემზარს ვთხოვ, მათთან არ იჩხუბოს, მაგრამ მას თავის შეკავება ძალიან გაუჭირდება. მისთვის ძალიან მძიმე გადასატანი იყო ჩემი პატიმრობა. პარლამენტში იმ ხალხთან ექნება საქმე, ვინც მე გამიშვა ციხეში. იმ წლებში ემზარმაც ბევრი უბედურება გამოიარა, მოღალატესა და გამყიდველს ეძახდნენ. ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა შეხედოს ამ ხალხმა ემზარს თვალებში.

გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# „დირსის“ კონტრაქტორებთან ფინანსური პრობლემები აქვს

## დავალიანება დაახლოებით ერთი მილიონი ლარია

საცხოვრებელ კომპლექს „დირსის“ განმახორციელებელ კომპანიასა და ქვეკონტრაქტორ კომპანიებს შორის დავამ სასამართლოში გადაინაცვლა.

როგორც „კომერსანტისთვის“ გახდა ცნობილი, „დირსის“ მისი ქვეკონტრაქტორი კომპანიების მიმართ დავალიანება, ჯამში, მილიონ ლარამდე აღწევს.

ერთ-ერთი ქვეკონტრაქტორი, შპს „გონიო 2010“-ის საქმის მწარმოებელი მერაბ კობახიძე ამბობს, რომ მისი კომპანია „დირსის“ პროექტში სამშენებლო სამუშაოებს 2014 წლის იანვრიდან 1 წლის განმავლობაში ახორციელებდა. მისი თქმით, თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა, თუმცა რამდენიმე თვის შემდეგ ფინანსური პრობლემები დაიწყო.

– ხელფასების დაგვიანება დაიწყეს. 2014 წლის ბოლო თვეები, 3 თვე აღარ გადაგვიხადეს. გვეუბნებოდნენ, რომ გვქონდა სამშენებლო მასალების გადახარჯვა. უკვე ბოლოს ხელფასები აღარ გადაგვიხადეს და ხელშეკრულება გაგვიწყვიტეს. ეს აწყობდათ იმიტომ, რომ ფინანსური პრობლემა ჰქონდათ, – აცხადებს კობახიძე.

„დირსს“ თავის კომპლექსში და ირგვლივ ტერიტორიაზე ვიდეოთვალი აქვს დაყენებული, შესაბამისად, იქიდან პატარა ლურსმანს ვერ გამოიტან. კობახიძე ამბობს, რომ „დირსი“ აქეთ სთხოვს მათ 44.000 ლარის დაბრუნებას. კობახიძე ამბობს, რომ გამოსავალი სასამართლოში ჩივილია, თუმცა მას ამის საშუალება არ აქვს.

კობახიძის თქმით, ჯამში, „დირსს“ შპს „გონიო 2010“-სთვის 55.000 ლარის დავალიანება აქვს. ამაში შედის მუშების ხელფასები და სახელმწიფოს წინაშე ვალდებულება. კობახიძის განმარტებით, ამას დაემატება კონტრაქტის დარღვევისთვის ჯარიმა, რომელიც მთლიანად ხელშეკრულების ღირებულების 15 პროცენტს შეადგენს. ეს თანხა, ჯამში, 200.000 ლარამდე ადის.

მისი ინფორმაციით, ანალოგიურ სიტუაციაში კიდევ რამდენიმე კომპანია და „დირსს“ მათ მიმართ, სავარაუდოდ, 1 მილიონ ლარამდე დავალიანება ეკისრება.

* * *

„დირსის“ მიმართ პრეტენზიებს გამოთქვამს შპს „შარმის“ წარმომადგენელი ელდარ მენაღარიშვილიც.

მისი ინფორმაციით, შპს „შარმი“ „დირსის“ ქვეკონტრაქტორი 2013-2015 წლებში იყო.

– ჩვენი საქმე ამ დროისთვის შემოსავლების სამსახურს კანონმდებლობის ძალით აქვს გადაბარებული. რადგან ფული არ მქონდა, ბიუჯეტს ვერ ვუხდიდი გადასახადებს. ამიტომ, ჩემ მაგივრად „დირსს“ შემოსავლების სამსახური ედავება, – აცხადებს მენაღარიშვილი.

მისი თქმით, „დირსს“ აღიარებული აქვს 114.000 ლარი, ხოლო შპს „შარმი“ მას 300.000 ლარის ანაზღაურებას ითხოვს.

როგორც მენაღარიშვილი აცხადებს, „დირსი“ მათთან არსებულ დავალიანებას აღიარებს, თუმცა, აცხადებს, რომ ასანაზღაურებელი თანხა არ აქვს.

– მაქვს ბინები და ამ ფულის სანაცვლოდ მას მთავაზობს. ჩემი ქონება დაყადაღებულია, ბინა რომ წამოვიღო, მას მაშინვე სახელმწიფოს მიერ ყადაღა დაედება. შემდეგ ქონება აუქციონზე გავა, რომელსაც ფასი ღირებულების 70 პროცენტი დაედება. თუ არა გაიყიდა, მეორე აუქციონზე ფასი ნახევრდება, მესამე აუქციონზე კი შეიძლება 10 ლარად იყიდო. პრაქტიკულად, ბინა რომ წამოვიღო, ის ჩემთვის დაკარგულია, – აცხადებს მენაღარიშვილი.

* * *

„კომერსანტი“ კომპანია „დირსსაც“ დაუკავშირდა.

პროექტის განმახორციელებელ აზერბაიჯანულ დეველოპერულ კომპანიაში აცხადებენ, რომ შპს „გონიო 2010“-ზე სასამართლოში სარჩელი შეტანილი აქვთ და კომპანიას ამის შესახებ შეტყობინება ორშაბათს უნდა მიეღო.

მათი ინფორმაციით, „გონიო 2010“-ს გადახარჯული აქვს მასალები.

კერძოდ, კომპანიას საწყობიდან გატანილი აქვს მასალები, რაც მშენებლობას არ მოხმარდა. მათი მტკიცებით, სწორედ ამის შემდეგ წარმოიქმნა ურთიერთდავალიანება. მიუხედავად ამისა, მათი ინფორმაციით, „დირსის“ დავალიანება შპს „გონიო 2010“-ის დავალიანებას დაახლოებით 3.000-4.000 ლარით ჩამოუვარდება.

რაც შეეხება შპს „შარმს“, „დირსში“ ამბობენ, რომ ამ შემთხვევაშიც მასალები გატანილია, თუმცა აზერბაიჯანული კომპანია მათ მიერ გაწეულ მომსახურებას აღიარებს. შედეგად, „გონიო 2010“-სგან განსხვავებით, გატანილი მასალების ღირებულება ბევრად ნაკლებია მათ მიერ გაწეულ სამუშაოზე.

მათივე განცხადებით, „დირსი“ იმ ეტაპზეა, რომ შპს „შარმთან“ მოლაპარაკებებს აწარმოებს, ფულის სანაცვლოდ ბინების შეთავაზებას კი „დირსში“ კატეგორიულად უარყოფენ და სიცრუეს უწოდებენ.

– „შარმთან“ მიმართებაში ეს მდგომარეობა დეკემბრის ბოლომდე შეიცვლება და მას რაც ეკუთვნის, ის დაუბრუნდება. ბინების შეთავაზება ჩვენი მხრიდან არასოდეს მომხდარა. ის, რომ ფული არ გვაქვს, შეუძლებელია, მართალი იყოს. ერთ-ერთი ყველაზე დიდი გადამხდელი ვართ ბიუჯეტში. ლიკვიდურობის პრობლემა რანაირად უნდა გვქონდეს. სახლები უკვე ავაშენეთ და რა ხარჯი უნდა გვქონდეს ისეთი, რომ „შარმისთვის“ გადასახდელი ფული არ გვქონდეს? – აცხადებენ „დირსში“.

მათივე ინფორმაციით, შპს „შარმს“ „დირსთან“ სხვა თანამშრომლობაც უნდა და მათთან პრეტენზია არ ჰქონიათ.

„დირსში“ ბოლო პერიოდში გააქტიურებულ გაყიდვებზეც საუბრობენ და ამბობენ, რომ, მიუხედავად ბოლო პერიოდში ლარის გაუფასურებისა, ბინების გაყიდვა საკმაოდ გააქტიურებულია. „დირსის“ ყველა გამოტანილი კორპუსის 70 პროცენტი გაყიდულია.

**სოფო ქსოვრელი, კომერსანტ.გე**

# ბიზნესს ლარში სესხის მიღების ახალი შესაძლებლობა გაუჩნდა



220 მილიონი ლარის ოდენობის დაფინანსება შეღავათიანი კრედიტების სახით მცირე და საშუალო ბიზნესსაქმიანობებს ელოდება.

დაინტერესებულ კომპანიებს საშუალება მიეცემათ, ეროვნულ ვალუტაში აიღონ 5-წლიანი სესხი 2-წლიანი საშეღავათო პერიოდით. მომხმარებელს ამ შესაძლებლობას „საქართველოს ბანკი“ აძლევს, რომელმაც დაფინანსება იბიარდისგან მიიღო.

„საქართველოს ბანკის „ევროპული ბიზნესსესხი“ ლარის გრძელვადიანი ფინანსური რესურსია, რაც საქართველოში არსებულ ბიზნესს, ასევე ქალ მეწარმეებს საშუალებას მისცემს, გააფართოონ და განავითარონ თავიანთი ბიზნესი.

ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლებს მიღებული თანხიდან 15%-ის უკან დაბრუნების შესაძლებლობა აქვთ. სესხის ოდენობა 250.000-დან 7.500.000 ლარამდე განისაზღვრება.

იბიარდის წარმომადგენელი კავკასიაში, მოლდოვასა და ბელარუსში ბრუნო ბალვანერა ამბობს, რომ შეღავათიანი კრედიტები მიმართული იქნება იმ მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისკენ, რომლებიც ევროპაში პროდუქციის ექსპორტზე გატანას გეგმავენ. „ქეშბექის“ სახით მიღებული სესხის მოცულობის 15 პროცენტს ევროკავშირი უზრუნველყოფს.

– მცირე და საშუალო ბიზნესები მტკივნეულად აღიქვამენ ვალუტის კურსის ცვლილებას და სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი დაფინანსების ადგილობრივ ვალუტაში მიღების შესაძლებლობა. თანხის რეალური საპროცენტო განაკვეთითა და მართვადი რისკებით მიღება ბიზნესის ზრდას დიდად უწყობს ხელს, – აღნიშნა ბრუნო ბალვანერამ.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტ კობა გვენეტაძის თქმით, ქვეყნის ეკონომიკისთვის ლარში არსებული საკრედიტო რესურსის გაჩენა მნიშვნელოვანი სიახლეა.

– იბიარდი პირველი იყო საერთაშორისო ფინანსურ ორგანიზაციებს შორის, ვინც ქართულ ბიზნესს დაფინანსების ლარში მიღების შესაძლებლობა მისცა. ჩვენ მივესალმებით ამ ინიციატივას, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანია ეკონომიკის დედოლარიზაციისთვის. ლარის საფინანსო ბაზრების განვითარება და ლარის სესხების ხელმისაწვდომობის ზრდა დედოლარიზაციის სტრატეგიის მნიშვნელოვანი ნაწილია, – განაცხადა გვენეტაძემ.

* * *

ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის პრეზიდენტი ნოდარ ჭიჭინაძე ლარში სესხების გაცემის სტიმულირებას მაკრო და მიკრო დონეზე განიხილავს.

– მაკროდონეზე სესხების ლარში გაცემის ხელშეწყობა გამოიწვევს დოლარიზაციის დონის შემცირებას. შედეგად, ცენტრალური ბანკის მექანიზმი, მოახდინოს გავლენა ეკონომიკურ პროცესებზე, უფრო ქმედითი გახდება. კერძოდ, ეროვნული ბანკი საპროცენტო განაკვეთის მართვით გავლენას ახდენს ეკონომიკაზე, განაკვეთის დაწევით ახალისებს ეკონომიკურ ზრდას და პირიქით. მაგრამ, როდესაც სესხების 70% უცხოურ ვალუტაშია, ეროვნული ბანკის ეს ფუნქცია შეზღუდულია, რადგან ის გავლენას ახდენს ლარის საპროცენტო განაკვეთზე და არა უცხოური ვალუტის, – განმარტა ჭიჭინაძემ.

იბიარდმა და „საქართველოს ბანკმა“ ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელიც ქალ მეწარმეებს დაეხმარება.

– საქართველოში ქალი ბიზნესმენებისთვის კრედიტზე ხელმისაწვდომობა დაბალია. ისინი ბიზნესის მართვისას კრედიტის მიღების დროს აწყდებიან პრობლემებს. ევროკავშირის დახმარებით გამოიყო 10 მილიონი დოლარის ეკვივალენტი თანხა ლარში, რომელიც ქალი მეწარმეების დასაფინანსებლად იქნება მიმართული, – თქვა ბრუნო ბალვანერამ.

**ნანა მღებრიშვილი, ბიპიენი**

# ჩხარტიშვილის პრესსამსახურის უფასო რჩევა „თი ბი სი ბანკს“, ბადრი ჯაფარიძესა და მამუკა ხაზარაძეს – # ნუ წახვალთ იქ!

გუშინ გავრცელდა „თი ბი სი ბანკის“ განცხადება, რომელიც, რბილად რომ ვთქვათ, თავისი ტონითა და შინაარსით აშკარადაა ამოვარდნილია საჯარო მიმართვებისა და ეთიკური ნორმების ჩარჩოებიდან. სოლიდურობის პრეტენზიის მქონე ბანკს მეტი მოეთხოვება. ბანკი ხომ ნდობასა და რეპუტაციაზე აგებული ინსტიტუტია და ელემენტარული სახის შენარჩუნებაზე უნდა იზრუნოს.

არა გვგონია, რომ ასეთი მძიმე და მოულოდნელი ყოფილიყო ბანკისთვის და მისი დამფუძნებლებისთვის, მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძისთვის, 2016 წლის 14 ნოემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლოში განცდილი მარცხი, სადაც „თი ბი სი ბანკმა“ და „აგრიკომმა“ ვანო ჩხარტიშვილის კომპანიებთან უკვე მეორე ინსტანცია წააგეს. სამართლიანობა რომ აღდგებოდა, მათ ჯერ კიდევ სააკაშვილთან დანაშაულებრივ გარიგებებში მონაწილეობის დროს უნდა ეფიქრათ.

საქმე ეხება 2010 წლის ამბებს, როცა სააკაშვილის რეჟიმისაგან დევნილ ვანო ჩხარტიშვილს დიდმა ბრიტანეთმა პოლიტიკური თავშესაფარი მისცა, ხოლო მისი აქტივები, მათ შორის, ფოთის წისქვილქარხანა და ნავმისადგომები, სააკაშვილის რეჟიმმა მიისაკუთრა. ამ აქტივების მითვისებაში მაშინ პროკურატურასთან, შსს და ნოტარიუსად ქცეულ სასამართლოსთან ერთად აქტიურად მონაწილეობდნენ რეჟიმთან გარიგებაში მყოფი კერძო იურიდიული და ფიზიკური პირები.

რეჟიმის წლები ზოგიერთისთვის უკანონობასთან ბრძოლის, ღირსების შენარჩუნებისათვის თავგანწირვისა და დევნის პერიოდი იყო, მავანისთვის კი იგი აღმოჩნდა მოძალადე ხელისუფლებასთან ალიანსში ჭუჭყიანი ფულის კეთებისა და კოლეგა ბიზნესმენების დარეკეტებით გამდიდრების ხანა.

ჩვენდა სამწუხაროდ, ასეთთა რიგებში აღმოჩნდნენ „თი ბი სი ბანკი“ და მისი მფლობელები მამუკა ხაზარაძე და ბადრი ჯაფარიძე, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ ვანო ჩხარტიშვილის აქტივების მითვისებაში. მიუხედავად ყველაფრისა, ეს თემა არ გაგვიხდია განსჯის საგნად და სამართლიანობის აღსადგენად სასამართლოს მივმართეთ. ეს მიუღებელი აღმოჩნდა ჩვენი ოპონენტებისთვის, რომლებმაც ჯერ კიდევ ყოფილი ხელისუფლების პერიოდში კარგად ათვისებული და დამუშავებული მეთოდებით საინფორმაციო კამპანია გააჩაღეს მოსამართლეებისა და სასამართლო სისტემის დასაშანტაჟებლად და ვანო ჩხარტიშვილის რეპუტაციის შესალახად.

ბოლო განცხადება გამონაკლისი არ არის. „ე.წ. „ბიზნესმენი“, „90-იანი წლების, პოსტსაბჭოთა შავბნელი მეთოდებით ბიზნესის მკეთებელი“, „ბიზნესავანტიურისტი“ და „პროვოკატორი“ – ეს სოლიდურობის პრეტენზიის მქონე თიბისი ბანკის „სოლიდური“ ლექსიკიდანაა და ზღვაში წვეთია იმ არაეთიკურ ეპითეტებთან და სიყალბეებთან შედარებით, რომლებსაც ისინი პერიოდულად მედიის საშუალებით ტირაჟირებენ.

ცოტა უცნაურია, რომ თიბისი ბანკი თვეების განმავლობაში კორპორატიული ელექტრონული ფოსტით ავრცელებდა პრესრელიზებს და აფინანსებდა ვანო ჩხარტიშვილსა და პატარკაციშვილების ოჯახს შორის მიმდინარე სასამართლო დავის ცალმხრივ ინტერპრეტაციებს. დავა რამდენიმე სასამართლოში მიმდინარეობდა და ყველაზე მსხვილი აქტივის, ყულევის ნავთობტერმინალთან დაკავშირებით ბრიტანეთის სასამართლომ გადაწყვეტილება ჩხარტიშვილის სასარგებლოდ გამოიტანა. რაც შეეხება ლონდონის სასამართლოს, იქ დავა არ დასრულებულა და პირველ ინსტანციაში ჩვენი წაგების შემდეგ მეორე ინსტანციაშია გასაჩივრებული.

ოჯახთან დავა მიმდინარეობს საქართველოშიც. ვანო ჩხარტიშვილმა დავა პირველ ინსტანციასა და სააპელაციო სასამართლოებშიც მოიგო. ასე რომ, ამ თემებით მანიპულირება და მათი მიბმა ფოთის წისქვილქარხანასთან ან ნავმისადგომებთან სრულიად უადგილო და ალოგიკურია.

თიბისი ბანკის მესვეურები აქტიურად ერეოდნენ ვანო ჩხარტიშვილისა და ფოთის პორტის ნავმისადგომების ბიზნესდავის ცალმხრივი გაშუქების დაფინანსებაშიც, რომელსაც არაფერი აქვს საერთო თიბისი ბანკთან. სტრატეგია აქაც უცვლელი იყო – სასამართლო სისტემასა და მოსამართლეებზე უპრეცედენტო ზეწოლა და მათი დაშინება.

თიბისი ბანკის დამფუძნებლების მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძის ძალისხმევით „სასწაულებრივად აღდგენილი“ საქართველოს ბიზნესფედერაციის პირველივე ნაბიჯი არა ბიზნესის ინტერესების დაცვა ან დაზარალებული ბიზნესსუბიექტების მხარში ამოდგომა, არამედ ვანო ჩხარტიშვილის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანა გახდა. თუმცა, ჩვენ არც ეს გაგვკვირვებია. ბიზნესფედერაციის თავმჯდომარე და წამყვანი თანამშრომლები თიბისი ბანკის ვიცეპრეზიდენტი და იურისტები იყვნენ. სამწუხაროა, რომ ეს პროცესიც სასამართლო სისტემის დაშინებითა და შანტაჟით გრძელდება.

სააკაშვილის რეჟიმის შემდეგ ბიზნესის წინააღმდეგ ვანო ჩხარტიშვილსა და მის ბიზნესპარტნიორებზე განხორციელებული ასეთი ტიპის ტოტალური შეტევა და ძალადობა პირველი და, ალბათ, უკანასკნელია.

ისე, სხვისი ქონების „მითვისება“, „მისაკუთრება“ და „ დაპატრონება“ დააბრალო ოპონენტს პირობებში, როცა სააკაშვილის დროს დაზარალებული ლამის ყოველი მეორე ბიზნესმენი „თი ბი სი ბანკს“ და მის მესვეურებს ბადრი ჯაფარიძესა და მამუკა ხაზარაძეს ადებს ხელს, სხვა თუ არაფერი, წინდაუხედაობაა. ეს რომ ასეა, არა ჭორებით, არამედ დოკუმენტებით, კონკრეტული საქმეებითა და ცოცხალი ადამიანებით მტკიცდება. ასევე ნამდვილად უცნაურია, სხვა თუ არაფერი, მათი მხრიდან კერძო საკუთრების ხელშეუხებლობაზე აქცენტების გაკეთება. უხერხული მოსასმენია „თი ბი სი ბანკის“ განცხადების ის ნაწილიც, სადაც ხაზგასმულია, რომ ბანკი „მუდამ იდგება ქვეყანაში სამართლიანობის, ბიზნესეთიკისა და საკუთრების უფლების სადარაჯოზე“.

ჩვენი უფასო რჩევა კი შემდგომში მდგომარეობს: ბატონო მამუკა, ბატონო ბადრი, თიბისი ბანკის მესვეურებო! ბანკს მიხედეთ, ბანკს!

ნუ წახვალთ იქ, სადაც გამოსავალი არ არის. სადაც და როგორც ართმევდით ქონებას კოლეგა ბიზნესებს! ის ცუდი დრო იყო. ახლა სხვა დროა! წარსულში ვერ დააბრუნებთ საქართველოს!

ნუ ჩარევთ და ნუ გახდით მედიასაშუალებებსა და ჟურნალისტებს მხარეებად! ნუ შეულახავთ მათ ღირსებას!

# მოდით აქ! სამართლიანობის აღდგენისთვის სახელმწიფოში სასამართლო არსებობს და, თუ რაიმე არგუმენტები და მტკიცებულებები გაქვთ, სასამართლოზე წარმოადგინეთ!

**ვანო ჩხარტიშვილის პრესსამსახური**

# თამარ ლალიაშვილი: „ბალუაშვილს კაბინეტში ვუთხარი, რომ ზვიად ძიძიგურისთვის სიკვდილით დასჯას არ მოვითხოვდი“

## რას ითხოვს უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლე სტრასბურში

**უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძემ განაცხადა, რომ სტრასბურის სასამართლოდან საჩივარი გამოაქვს. მერაბ ტურავაც ფიქრობს ევროსასამართლოდან საჩივრის გამოტანაზე.**

**უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლე თამარ ლალიაშვილი, რომელიც გვენეტაძესა და ტურავასთან ერთად დაითხოვა სააკაშვილმა, სხვაგვარად ფიქრობს. მას არ გამოაქვს სარჩელი. მისთვის მნიშვნელოვანია, საერთაშორისო სასამართლოში დამტკიცდეს, რომ წინა რეჟიმის დროს უზენაესი სასამართლოს რიგ მოსამართლეებს უსამართლოდ მოექცნენ.**

გულიკო ბალაძე

**თამარ ლალიაშვილი:**

– გასული საუკუნის 90-იანი წლები ძალიან ბნელი და მძიმე პერიოდი იყო. საქართველოში ავტომატებით შეიარაღებულნი დარბოდნენ. პირველად პროკურორი რომ გავხდი, 28 წლის ვიყავი. 1999 წლის რეფორმების შემდეგ ყველა ინსტანციის სასამართლოში ვმუშაობდი. 2001 წელს გადავედი უზენაეს სასამართლოში. სააკაშვილი ოპოზიციაში ყოფნის დროს სულ სხვა იდეებს ატარებდა. 2004 წელს, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ კი სულ სხვა სახით წარუდგა საზოგადოებას და მძიმე პერიოდი გავიარეთ.

***– 1999-2003 წლებში სასამართლო შედარებით დამოუკიდებელი არ იყო?***

– სასამართლო იმ პერიოდში ბევრად დამოუკიდებელი იყო, მაგრამ 2004 წელს დაიწყეს ახალი რეფორმების განხორციელება. რეფორმები თითქოს უნდა შეხებოდა კორუმპირებულ მოსამართლეებს, მაგრამ ჩემ თვალწინ სრულიად უმიზეზოდ დაიწყეს დამოუკიდებელი მოსამართლეების გათავისუფლება. მაგალითად, მაია ახალაძე და ნანა კლარჯეიშვილი იყვნენ უწესიერესი, უპატიოსნესი და ძალიან დამოუკიდებელი მოსამართლეები და ისინი გაუშვეს.

***– სასამართლოში კორუმპირებული მოსამართლეებიც იყვნენ?***

– დიახ, მაგრამ უწესიერეს მოსამართლეებს ათავისუფლებდნენ, კორუფციის ჭაობში ჩაფლულ მოსამართლეებს კი აწინაურებდნენ. ჩვენ ბრძოლა გამოგვიცხადეს, გვიბარებდნენ, ჩვენ წინააღმდეგ დისციპლინარული დევნა დაიწყეს. ჩემი პრაქტიკიდან ძალიან ბევრი შემთხვევა შემიძლია გავიხსენო, როდესაც კუბლაშვილმა კაბინეტშიც დამიბარა და მითხრა, რომ უნდა მიმეღო ისეთი გადაწყვეტილება, როგორიც მათ უნდოდათ.

***– მაგალითად?***

– მაგალითად, კანონიერი ქურდის საქმე. არ ვიცი, ის ადამიანი იყო თუ არა კანონიერი ქურდი, მაგრამ საქმეში მტკიცებულების ნასახი არ ჰქონდათ. ისინი თვლიდნენ, რომ ვინაიდან მათ ჰქონდათ ინფორმაცია, უნდა მიმეღო ისეთი გადაწყვეტილება, როგორიც მათ უნდოდათ. ყველა მტკიცებულება უკანონოდ იყო მოპოვებული. მოსამართლისთვის მთავარია კანონი. ძალიან სამწუხარო ის იყო, რომ სამნი ვიყავით და ჩემმა ორმა კოლეგამ განაჩენი უცვლელი დატოვა.

***– თქვენ განსხვავებული აზრი გამოთქვით?***

– დიახ, რადგან უკანონობა იყო. ამაზე მითხრეს, როგორ გაბედე, განსხვავებულ აზრზე რომ დარჩი, ის ხომ კანონიერი ქურდიაო. ვუპასუხე, ჩემს ცხოვრებაში პირველად სასამართლო დარბაზიდან გამოვედი ისე, რომ მანტია მძულდა, რადგან სასამართლოში სამართლიანობას ვერ მივაღწიე-მეთქი. პირდაპირ ასე ვუთხარი კუბლაშვილს.

***– ეს რომელ წელს იყო?***

– 2004 წელს. ამის შემდეგ დაიწყო ჩვენი დევნა. კიდევ ერთი საქმე მქონდა – სააკაშვილმა გამოაცხადა ნულოვანი ტოლერანტობა და ყველა ციხეში. ერთი საქმე იყო, გლეხმა მეორე მეზობელს სთხოვა არაყი. მეზობელმა არაყი არ მისცა. გლეხი კაცი შეიპარა მეზობლის სახლში, 20-ლიტრიანი ბოცით არაყი გამოიტანა. ისიც გზაში გაუტყდა. მეზობელმა უჩივლა, არაყი მომპარაო.

ამ კაცს შეფარდებული ჰქონდა 4 წლით პატიმრობა. ეს საქმე მოვიდა ჩემთან პროკურატურის საჩივრით, 4 წელი ცოტაა, 8 წელი უნდა ჰქონდეს შეფარდებულიო. მე ძალიან გამაოცა ამ საშინელებამ, ჩემი კოლეგებიც დამეთანხმნენ და, მიუხედავად პროკურატურის მოთხოვნისა, ჩვენ ის კაცი სასამართლო დარბაზიდან გავათავისუფლეთ.

ამის შემდეგ განაცხადა სააკაშვილმა, ლიბერალი მოსამართლეები არ გვჭირდებაო და ჩვენ წინააღმდეგ დისციპლინარული დევნა დაიწყეს. მე ვთქვი, ნურას უკაცრავად, ასე ადვილად არ დაგნებდებით, როგორც წლების წინ ძიძიგურის საქმეზე პროკურატურის მაღალჩინოსნებს შევეწინააღმდეგე-მეთქი.

***– ძიძიგურის?***

– ზვიად ძიძიგურის საქმეზე შევეწინააღმდეგე. 1993-94 წლებში საქართველოში სამოქალაქო ომი და უმძიმესი პერიოდი იყო, როდესაც პრეზიდენტი გამსახურდია დაამხეს კიტოვანმა და იოსელიანმა. მე ამას ტრაგედიას ვეძახი. ორივე მხრიდან საშინელი მოქმედებები იყო, ერთმანეთს ხოცავდნენ.



**კუბლაშვილი მიბარებდა კაბინეტში და მას ვუთხარი, რომ უკანონობა არ ჩამიდენია შევარდნაძის დროს და ახლაც არ ჩავიდენდი. არ მაინტერესებს სააკაშვილი, მე მაქვს კონსტიტუცია, კანონი და იმით ვიხელმძღვანელებ-მეთქი. ასე დავტოვე კუბლაშვილის კაბინეტი**

***– თუმცა, ერთ მხარეს იყო ხელისუფლება, მეორე მხარეს კი – შეიარაღებული ე.წ. ოპოზიცია.***

– გამარჯვებულმა ხელში აიღო ძალაუფლება და დაიწყო მათი მოწინააღმდეგეების წინააღმდეგ გამოძიება. ერთ-ერთი ზვიად ძიძიგურის საქმე იყო. მაშინ 30 წლის ახალგაზრდა ვიყავი, პროკურორი. დამიბარეს პროკურატურაში და მითხრეს, თქვენ უნდა გამოხვიდეთ უზენაეს სასამართლოში ბრალდების მხარდამჭერად ლოთი ქობალიას, ზვიად ძიძიგურის, ბოკუჩავასა და მოლოდინაშვილის საქმეზეო. ქობალიას კატასტროფები ჰქონდა ჩადენილი ჟურნალისტ ბოლქვაძესთან დაკავშირებით. ჩვეულებრივი ომი იყო და იცით, ომი რა მძიმეა.

***– პროცესზე ბრალმდებლად გამოდიოდით?***

– დიახ, 1996 წელს პროცესზე მეორე პროკურორ ვარლამ წერეთელთან ერთად გავედი. სასამართლო პროცესზე დადგა სიკვდილის მისჯის საკითხი ზვიად ძიძიგურის მიმართ. მაშინ სიკვდილით დასჯა კანონით იყო დაშვებული. მთავარი პროკურატურის მოთხოვნა ჩემთვის, როგორც რიგითი პროკურორისთვის, სავალდებულო იყო, მაგრამ მაშინვე, როცა კაბინეტში ვსაუბრობდით სასჯელების მოთხოვნაზე, უარი განვაცხადე, ვუთხარი, რომ მე არ მოვითხოვდი ზვიად ძიძიგურისთვის სიკვდილით დასჯას.

***– ვისთან ხდებოდა სასჯელზე შეთანხმება?***

– ბაბილაშვილსა და ბალუაშვილთან. სასჯელების შეთანხმებისას ბალუაშვილს კაბინეტში ვუთხარი, რომ არ მოვითხოვდი ძიძიგურისთვის სიკვდილით დასჯას და მზად ვიყავი, დამეტოვებინა თანამდებობა. საერთოდ წავალ სამსახურიდან და სიკვდილით დასჯას არ მოვითხოვ-მეთქი. მითხრეს, რომ კარგი ახალგაზრდა ვიყავი და ამ საქმისთვის თავი დამენებებინა, სასამართლო პროცესზე კი მეორე პროკურორს გაუშვებდნენ. ასეც მოხდა, რაც დაფიქსირებულია ოქმში.

***– როგორ გაბედეთ ამის თქმა?***

– არ ვიცი. 1996 წელს რომელი პროკურორი გაბედავდა და ეტყოდა მთავარ პროკურორსა და მის მოადგილე ბალუაშვილს, რომ არ მიაჩნდა სწორად ძიძიგურისთვის სიკვდილის მისჯა?! ასეთივე პოზიცია გამოვავლინე სააკაშვილის დროსაც. ამიტომაც სააკაშვილმა სასამართლო დამატოვებინა.

***– უშუალოდ სააკაშვილთან თუ გქონდათ საუბარი?***

– სააკაშვილთან – არა, მაგრამ კუბლაშვილი მიბარებდა კაბინეტში და მას ვუთხარი, რომ უკანონობა არ ჩამიდენია შევარდნაძის დროს და ახლაც არ ჩავიდენდი. არ მაინტერესებს სააკაშვილი, მე მაქვს კონსტიტუცია, კანონი და იმით ვიხელმძღვანელებ-მეთქი. ასე დავტოვე კუბლაშვილის კაბინეტი.

***– კუბლაშვილმა რა გიპასუხათ?***

– კარგი, კარგიო. შემდეგ დაიწყეს ჩვენი დევნა ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეზე. ქალს მოუკლეს ქმარი. ძმამ მოკლა ძმა. თავდაპირველად ეს ქალი იყო დაზარალებულად ცნობილი, მაგრამ შემდეგ ის ამოაგდო საქმიდან და დედა ჩართო.

***– ანუ დაზარალებულად დედა ცნეს?***

– დიახ. დედას ერთი შვილი მოუკლეს, ხოლო მეორე ციხეში ჰყავდა. დედამ თქვა, რომ ეს იყო აუცილებელი მოგერიება, განზრახ მკვლელობა არ იყო. მოკლულს ზურგის არეში ჰქონდა ჭრილობები. ერთმა ძმამ მეორე ძმას დაარტყა დანა. ცოლი მოწმე იყო და ჩიოდა, მე დავინახე, როგორ მოკლაო.

საქმე რომ წავიკითხეთ, აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებას კი არ ჰქონდა ადგილი, არამედ – განზრახ მკვლელობას. ჩვენ ამის თქმის უფლება არ გვქონდა, ვინაიდან ის ქალი ამბობდა, მე მცანით დაზარალებულადო. ჩვენ ვთქვით, რომ საქმეში ეს ქალი, ანუ მეუღლე იყო დაზარალებული. მათ ხელი არ ჰქონდათ მოწერილი, თუმცა ჰყავდათ ორი შვილი. ის ქალი დღესაც იმ სახლში ცხოვრობს.

ნორმაში ეწერა, რომ მეუღლე არის რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი. ჩვენ გავაფართოვეთ და ვთქვით, რადგან ოჯახია, შვილები მამის გვარზე არიან, დაბადების მოწმობაში დედაც წერია და მამაც, ამიტომ ეს ქალი არის დაზარალებული. საქმე უკან გადავაგზავნეთ და მართლა განზრახ მკვლელობით დადგა განაჩენი.

***– პროკურატურას დაუბრუნეთ?***

– არა, სასამართლოს და განაჩენი დღესაც კანონიერ ძალაშია, არავის გაუუქმებია. უზენაესი სასამართლოდან ჩვენი გაგდება რომ უნდოდათ, რადგან დამოუკიდებლები ვიყავით, დავა დაგვიწყეს, კანონში ეწერა, ის ცოლი არ იყო, რეგისტრირებულ ქორწინებაში არ იყვნენ, ამის უფლება თავს რატომ მიეცითო. ეს იყო ერთადერთი მიზეზი ჩვენი გათავისუფლებისა. ფორმალურად ვითომ ნორმის დარღვევისთვის გაგვათავისუფლეს.

გაგვათავისუფლეს, მაგრამ ჩვენ არ გავჩერებულვართ. გერმანიაში ყოფნით შესაძლებლობა მქონდა, ევროპარლამენტში მევლო და ინფორმაციები მიმეწოდებინა საქართველოში ადამიანის უფლებების დარღვევის თაობაზე.

3 თვეში ერთხელ ჩავდიოდი. მაშინ ევროკავშირის ელჩი ქალბატონი სამადაშვილი იყო, დღეს ნაცმოძრაობიდან დეპუტატი რომ არის. ერთხელ უხეშად მომმართა, რას დაბრძანდებით, ქალბატონო, ამ პარლამენტშიო? მე იქ ვხვდებოდი დეპუტატებს სვობოდასა და სემნების. მათ ინფორმაციას ვაწვდიდი, რა ხდებოდა საქართველოს სამართალდამცავ სისტემაში, ჩვენს საქმეზე და სხვა.

ევროპარლამენტში დავით ბაქრაძე, გოგორიშვილი და სხვები იყვნენ ჩამოსული. სიტუაციას ისე ხატავდნენ, რომ დიდი წარმატებები ჰქონდათ, ყვებოდნენ, რა არაჩვეულებრივად იყო ყველაფერი. იმ დროს მე დარბაზში ვიმყოფებოდი ევროპელი დეპუტატების მიწვევით.

შესვენებაზე იმ დეპუტატებს საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ მთელი ინფორმაცია დეტალურად მივაწოდე. შესვენების შემდეგ დეპუტატებმა უთხრეს, არც ასეა საქმე, კანონმდებლობაში პასუხისმგებლობა 12 წლამდე დაგიწევიათ, საპროცესო გარიგებებში მილიონებს იღებთო (ყიდვა-გაყიდვა ჰქონდათ გაჩაღებული).

ყველა მათგანმა ჩემკენ გამოიხედა. ყველამ იცოდა, რომ ინფორმაცია მე მივაწოდე. ბაქრაძემ ძალიან დიპლომატიურად განაცხადა, ჩვენ არ ვამბობთ, რომ უშეცდომოები ვართო.

მე დღესაც ჩემი დარღვეული უფლების აღდგენისთვის ვიბრძვი, სტრასბურში საქმე წარმოებაშია.

# „მე ტერორისტი არ ვარ“

## ტერაქტის მზადებაში ბრალდებულები დანაშაულს არ აღიარებენ

– თუ ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლა და ნებისმიერი ქმედება მათ წინააღმდეგ დანაშაულია, გამოვიდნენ და თქვან პროკურორებმა და გამომძიებლებმა.

ამის შესახებ ტერორისტული აქტის განხორციელების მცდელობის საქმეზე ბრალდებულმა ბექა ბექაურმა სასამართლო პროცესზე განაცხადა.

როგორც ბრალდებულმა აღნიშნა, ის თავს დამნაშავედ არ ცნობს იმ საქმეზე, რომელსაც მას გამოძიება ედავება, კერძოდ, საგურამოს ტერიტორიაზე გამავალი რუსეთ-სომხეთის დამაკავშირებელი მილსადენის აფეთქების ორგანიზება და მცდელობა.

– მილსადენის აფეთქებაში თავს არანაირად არ ვცნობ დამნაშავედ. მე სხვა რაღაც მქონდა გამიზნული. თუ ის, რაც გამიზნული მქონდა, დანაშაულია, მაშინ გამოვიდნენ პროკურორები და გამომძიებლები და თქვან საჯაროდ, რომ ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლა და ნებისმიერი ქმედება მათ წინააღმდეგ დანაშაულია, – განაცხადა ბექა ბექაურმა.

ბრალდებულის თქმით, იარაღი, რომელიც სამალავებში იყო, მას ეკუთვნოდა და მასთან ერთად დაკავებულმა პირებმა მისი გეგმების შესახებ არაფერი იცოდნენ.

– არც ჯაბა მელქაძე და არც ნური ჭკადუა არ იყვნენ საქმის კურსში, რას ვაკეთებდი მე. უბრალოდ, მოხდა გამომძიებლების მიერ გარკვეული ფსიქოლოგიური ზეწოლა მათზე, რათა ეღიარებინათ, რომ იცოდნენ ის, თუ რა იგეგმებოდა, – აღნიშნა ბექაურმა.





მსგავსი განცხადება გააკეთა ბრალდებულმა ჯაბა მელქაძემ, რომელმაც ხაზი გაუსვა, რომ ტერორისტი არ არის.

– მე ტერორისტი არ ვარ და წარდგენილ ბრალდებაში, რომელიც ტერორისტული აქტის ორგანიზებას მოიცავს, თავს დამნაშავედ არ ვცნობ, – განაცხადა ჯაბა მელქაძემ.

7 ბრალდებულიდან თავს ნაწილობრივ დამნაშავედ მხოლოდ ერთი, ნური ჭკადუა ცნობს, თუმცა, როგორც მან აღნიშნა, ის დანაშაულს მხოლოდ იარაღის ნაწილში აღიარებს, სხვა ბრალდებულები კი თავს უდანაშაულოდ მიიჩნევენ და ტერორისტული აქტის ორგანიზებასა და განხორციელების მცდელობას უარყოფენ.

❖ ❖ ❖

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა საქართველოში ტერორისტული აქტის აღკვეთის შესახებ მიმდინარე წლის თებერვალში განაცხადა.

როგორც უწყებაში გამართულ ბრიფინგზე ითქვა, გამოძიებით დადგენილია, რომ საქართველოს 5 მოქალაქე სოფელ საგურამოს მიმდებარე ტერიტორიაზე, მდინარე არაგვზე გამავალი რუსეთ-სომხეთის დამაკავშირებელი გაზსადენი მილის ღია მონაკვეთზე აფეთქებას ამზადებდნენ. ტერორისტული აქტის ჯგუფურად მომზადებისათვის და ტერორისტული მიზნით ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალისა და ფეთქებადი ნივთიერებების მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის, ტარებისა და ამავე დანაშაულის ჩადენაში დახმარების ფაქტზე დაკავებული არიან: ბექა ბექაური, ვლადიმერ რუხაძე, მინდია ვაშაყმაძე, ჯაბა მელქაძე და ნური ჭკადუა.

ამ პირების გარდა, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე დაკავებულია საპატრულო პოლიციის მოქმედი თანამშრომელი ლევან მამფორია, დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტზე კი – საქართველოს მოქალაქე ირაკლი ბალიშვილი.

**ინტერპრესნიუსი**

# მერკელს კანცლერის პოსტის შენარჩუნება სურს?



გერმანიის პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის ხელმძღვანელმა რეტგენმა განაცხადა, რომ ანგელა მერკელი კანცლერის პოსტზე მეოთხე ვადითაც იყრის კენჭს.

თავად მერკელის უწყებაში ეს ინფორმაცია არ დაადასტურეს. „დოიჩეველე“ იტყობინება, რომ დეკემბერში გერმანიის ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის ყრილობა გაიმართება და იქ გადაწყდება, იყრის თუ არა კენჭს მერკელი კანცლერის პოსტზე.

თანახმად უკანასკნელი ინფორმაციისა, მერკელის პოპულარობა დაეცა. დღეს მას მხარს მხოლოდ 51% უჭერს. ამავე დროს, გერმანელი ძალოვნები გამოთქვამენ შეშფოთებას ქვეყანაში რუსული აგენტურის მკვეთრი გააქტიურების გამო. ასე მაგალითად, გერმანიის კონსტიტუციური დაცვის უწყების (კონტრდაზვერვა) ხელმძღვანელმა მაასენმა განაცხადა, რომ რუსეთი გერმანიის არჩევნებში ჩაერევა. მოსკოვი აფინანსებს ანტიდემოკრატიული, ანტიევროპული მიმართულების ძალებს და ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რათა ისინი ხელისუფლებაში მოვიდნენ.

– რუსეთის აგენტურის გასანეიტრალებლად აუცილებელია პოლიტიკური ნება, – თქვა მაასენმა.

# ტრამპის ვარცხნილობიანი ხოხობი პოპულარობას იხვეჭს



ოქროსფერი ხოხობი, რომელიც ჩინეთის ქალაქ ხანჩჟოუს საფარი-პარკის ბინადარია, სოციალური ქსელების მომხმარებლებში პოპულარული მას შემდეგ გახდა, რაც მისი აშშ-ის ახლადარჩეულ პრეზიდენტ დონალდ ტრამპთან მსგავსება შენიშნეს.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ადგილობრივ ზოოლოგიურ პარკში მისულმა ადგილობრივმა ჟურნალისტმა, ხოხბის, სახელად ლითლ რედის თავზე ყვითელი ფერის ბუმბულების წყობა 70 წლის რესპუბლიკელი პრეზიდენტის თმების წყობას მიამსგავსა. მან ხოხობს სურათი გადაუღო და სოციალურ ქსელში სათანადო განმარტებებით განათავსა. სურათებმა „ფრთოსანი ტრამპის“ გამოსახულებით სწრაფად მოიპოვა პოპულარობა.

– შეხედეთ თვალებს. ისინიც ძალიან ჰგავს ერთმანეთს. ერთადერთი განსხვავება ის არის, რომ მამაკაცს ნისკარტი არ აქვს, – დაწერა ერთ-ერთმა ინტერნეტმომხმარებელმა.

საფარი-პარკის ზედამხედველმა განაცხადა, რომ გაოცებულია ფრინველის პოპულარობით. მისი თქმით, მას ადრე ეს არ შეუმჩნევია, მაგრამ ახლა, როდესაც დააკვირდა, მსგავსება თავადაც შენიშნა.

# მთიან ყარაბაღში რეფერენდუმის ჩატარებას აპირებენ




მთიან ყარაბაღში რეფერენდუმის ჩატარებას აპირებენ. მასზე ახალი კონსტიტუციის პროექტი უნდა გაიტანონ.

გათვალისწინებულია როგორც მმართველობის ფორმის, აგრეთვე რესპუბლიკის სახელის შეცვლაც.

თუკი მანამდე მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკაში საპარლამენტო-საპრეზიდენტო მმართველობის ფორმა იყო, ახლა გათვალისწინებულია ძლიერი საპრეზიდენტო მმართველობის შემოღება და პარლამენტის შეზღუდვა.

თანახმად ახალი კონსტიტუციისა, მთიან ყარაბაღს არცახის რესპუბლიკა დაერქმევა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ჯულიან ასანჟის კატა ცნობილი ხდება



ვიკილიქსის დამფუძნებლის ჯულიან ასანჟის კატა თეთრ საყელოსა და ზოლიან ჰალსტუხში გამოწყობილი შენიშნეს. ცხოველი ლონდონში ეკვადორის საელჩოს ფანჯრიდან იყურებოდა, სადაც ის თავის პატრონთან ერთად ცხოვრობს.

აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად კატა ყოველგვარი აქსესუარების გარეშე გამოჩნდა, მაგრამ რაღაც დროის შემდეგ ფანჯარას მოსცილდა და შემდეგ უკვე ჰალსტუხითა და საყელოთი შემოსილი გამოჩნდა. ასანჟის კატას ტვიტერში საკუთარი გვერდი აქვს, რომლის განახლებასაც თვალს 22 ათასი ადამიანი ადევნებს.

შეგახსენებთ, რომ ჯულიან ასანჟი ავსტრალიელი ჟურნალისტია, რომელმაც 2006 წელს ვებ-გვერდი ვიკილიქსი დააარსა, რომელზეც საიდუმლო და მამხილებელი საბუთები და მასალები ქვეყნდება.

# ცოლმა ქმარი ნარკოტიკების გამო ხმლით დაჭრა



ამერიკის ფლორიდის შტატის პოლიციამ დააპატიმრა ქალი, რომელიც ოჯახური კამათის დროს მეუღლეს ხმლით დაესხა თავს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ მეუღლეები ნარკოტიკებისა და ოჯახური პრობლემების გამო კამათობდნენ, რომელიც შემდეგ ჩხუბში გადაიზარდა მას შემდეგ, რაც ქალმა ქმარს ქანჩი ესროლა. ამის შემდეგ ქმარმა ხელი დასტაცა ხმალს და ნივთების მტვრევა დაიწყო. როდესაც ის დამშვიდდა, ხმალს უკვე მისი მეუღლე დაეუფლა. მან ქმარს ხმალი ჯერ მუცელში დაარტყა, შემდეგ მარჯვენა გვერდსა და წინამხარში.

დაშავებული ქმარი საავადმყოფოში გადაიყვანეს, ხოლო მის მეუღლეს ჯანმრთელობისთვის საშიში განზრახ დაზიანების მიყენების ბრალდება წაუყენეს და დააპატიმრეს. აღსანიშნავია, რომ სახლში, დანაშაულის იარაღის გარდა, კიდევ ერთი ხმალი ინახებოდა.

# ყველაზე მხცოვანი იტალიელი 111 წლის გახდა



იტალიის კალიარის პროვინციის (კუნძული სარდინია) მცხოვრებს 111 წელი შეუსრულდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

ვალერიო პიროდიმ საკუთარი დაბადების დღე 13 ნოემბერს იზეიმა თავისი ოჯახის წევრებთან და მეზობლებთან ერთად. მამაკაცს ორი შვილი, ექვსი შვილიშვილი და ხუთი შვილთაშვილი ჰყავს. დღეგრძელთა საერთაშორისო საზოგადოების პრეზიდენტი რობერტო პილი მიიჩნევს, რომ იტალიელს ყველა შანსი აქვს, რათა ევროპის უხუცესი მცხოვრები გახდეს.

– პიროდის ბიოლოგიური ასაკი, მინიმუმ, ფაქტობრივზე 20 წლით ნაკლებია, – განაცხადა პილიმ.

ასევე საზოგადოების პრეზიდენტი ირწმუნება, რომ პიროდის შესანიშნავი ჯანმრთელობა და მეხსიერება აქვს. ის ყოველ დილით სეირნობს და 85 წლის ასაკამდე ფერმაში შრომობდა. ის ყოველთვის სწორი კვების მომხრე იყო. უმეტესად საკვებად იყენებს მცენარეულ საკვებსა და ყველს, განსაკუთრებულ შემთხვევებში კი უარს არ ამბობს ნაყინსა და ღვინოზე.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ამერიკელმა ცოლი ღალატში კვადროკოპტერით ამხილა



ამერიკელმა მამაკაცმა რადიომართვადი კვადროკოპტერი, რომელიც ვიდეოკამერით იყო აღჭურვილი, იმისთვის გამოიყენა, რომ გაერკვია, თუ სად დადიოდა მისი მეუღლე და ღალატში ემხილა.

იუთუბიზე განთავსებულ ვიდეოში მამაკაცი განმარტავს, რომ მეუღლის ერთგულებაში ეჭვი რამდენიმე კვირის წინ შეეპარა. მან ცადა, შეუმჩნევლად ეთვალთვალა თავისი მეუღლისთვის, მაგრამ უჩვეულო ვერაფერი შენიშნა. ამის შემდეგ მან გადაწყვიტა, მისი გადაადგილებისთვის თვალი ჰაერიდან კვადროკოპტერის დახმარებით ედევნებინა.

თვალთვალის ამ მეთოდმა უკეთ იმუშავა. მან შენიშნა, რომ მისმა მეუღლემ ჩვეულებრივი მარშრუტიდან, რომლითაც ის სამსახურში მიდის, გადაუხვია, თმა გადაივარცხნა, შემდეგ კი მასთან მიახლოებულ მანქანაში ჩაჯდა და წავიდა.

ვიდეოს ავტორმა კვადროკოპტერის მიერ გადაღებული კადრები ცოლის ღალატის მტკიცებულებად ჩათვალა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**



**ელექტროლეიბი – ეს არის საუკეთესო გადაწყვეტილება ცივი ზამთრისთვის. ელექტროლეიბთან ერთად თქვენ არ შეგაშინებთ ყინვა და ცივი ღამეები.**

ეკონომიურია და, რაც მთავარია, აბსოლუტურად უსაფრთხო...

ერთი თვის განმავლობაში მოიხმარს 1-2 ლარის ღირებულების ელექტროენერგიას.

პროდუქცია დამზადებულია 100% ბუნებრივი ქსოვილისაგან, ბოლოებში დაფარულია თერმოდამცავი სისტემით, რომელიც ინარჩუნებს სითბოს. სითბო თანაბრად ნაწილდება ლეიბის მთელ ფართობზე.

ზომა: 120X160
რეჟიმი: 2
დაცულია გადახურებისგან.

**ფასი 30 ლარი**

**მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 79 (უკანა მხარე); ქ.ზესტაფონი, რუსთაველის 158**
**ტელ.: 218-21-86; 579-885-996.**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

**მომსახურება**

- სიახლე! სტომატოლოგიური კლინიკა გთავაზობთ მომსახურებას თქვენს ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ორი ყბის ფასი 250 ლარი. იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

**გთავაზობთ სამსახურს**

- გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.
- რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

**მკურნალობა**

- ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი,პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა,ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი,ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით .
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.
- იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.
- უცხოეთში კვალიფიცირებული ექიმი-პედიატრი, გთავაზობთ სხვადასხვა სახის, ზოგადი პროფილის, ასევე ყველა ასაკის ბავშვთა მასაჟს. ვმუშაობ სხეულის კორექციაზეც ვაკუუმ-მასაჟის მეთოდით. მსურველებს, საჭირო კურსის ჩატარების შემდეგ, ექნებათ ლიპოსაქციის ეფექტი. 599 48-66-39.

# მგზავრების პირველი გამარჯვება

**ქაქტუსი-მგზავრები 78:82**
(23:17, 22:18, 17:29, 16:18)

გაიმართა სუპერლიგის გადადებული მატჩი, რომელიც 22 ოქტომბერს უნდა გამართულიყო, მაგრამ მსაჯ-მდივანთა გარკვეული ჯგუფის საბოტაჟის გამო არ ჩატარდა.

კაკტუსისა და მგზავრების მატჩი საკმაოდ საინტერესო და დაძაბული გამოდგა, რომელიც ბუბა ბერიშვილის გუნდის სეზონის სადებიუტო გამარჯვებით დასრულდა.

მგზავრებს ამ შეხვედრამდე სუპერლიგაში ოთხივე მატჩი ჰქონდათ წაგებული და გამარჯვებით ნავსი გატეხეს და დიდადაც გაიხარეს. ბერიშვილის გუნდმა წინა მატჩში, ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერ რუსთავს მისსავე მოედანზე დიდი ბრძოლა გაუმართა და მატჩის ბოლო წუთზე მცირე სხვაობით დამარცხდა. ახლა კი მგზავრებმა არჩილ ჟღენტის კაკტუსს სძლიეს, რომელსაც აქამდე გამართული 4 შეხვედრიდან 2 მოგება ჰქონდა მოპოვებული.



შეხვედრა კაკტუსელთა შედეგიანობით დაიწყო და პირველ მეოთხედში მოპოვებულ 6-ქულიან ლიდერობას ჟღენტის გუნდის წევრებმა დიდი შესვენებისთვის 4 ქულაც მიამატეს და 45:35 დაწინაურდნენ. ბუბა ბერიშვილმა შესვენებისას სწორი დარიგებები მისცა თავისი გუნდის წევრებს, რაც კალათბურთელებმა კარგად შეასრულეს და მესამე პერიოდი 29:17 მოიგეს.

ბოლო ათწუთეულის წინ უკვე მგზავრები იგებდნენ და შეხვედრა ისე ჩაამთავრეს, მეტოქეს ვითარების შეცვლის საშუალება არ მისცეს. შესანიშნავად ითამაშეს ბექა წივწივაძემ, დარნელ ტეილორმა, ავთო ლომინაშვილმა და ოთო ფხაკაძემ, რომლებმაც შედეგიანი გარჯით ბერიშვილის გუნდს გამარჯვება გაუნაღდეს.

მგზავრებში 24 ქულით ბომბარდირი გახდა ავთო ლომინაშვილი. 17 ქულა და 7 პასი ბექა წივწივაძემ გაილო, ტეილორის ანგარიშზე კი 15 ქულა და 7 მოხსნა დაგროვდა. ოთარ ფხაკაძემ გამარჯვებულებს 14 ქულა შესძინა. კაკტუსში 23 ქულით საუკეთესო იყო ირაკლი ჩლაიძე, ხოლო ბექა ჩიკვილაძემ 18 ქულა მოაგროვა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.დინამო | 5 | 5 | 0438-342 | 10 |
| 2.ქუთაისი | 5 | 4 | 1421-388 | 9 |
| 3.რუსთავი | 5 | 4 | 1406-375 | 9 |
| 4.ბათუმი | 5 | 2 | 3419-412 | 7 |
| 5.კაკტუსი | 5 | 2 | 3385-409 | 7 |
| 6.ოლიმპი | 5 | 1 | 4365-368 | 6 |
| 7.სოხუმი | 5 | 1 | 4396-464 | 6 |
| 8.მგზავრები | 5 | 1 | 4351-423 | 6 |

# რუნის ბოდიში მწვრთნელებსა და გულშემატკივრებს

ინგლისურ გაზეთ სანის ჟურნალისტებმა ინგლისის ნაკრების კაპიტანი „სამ ლომთა“ მაისურში გამოწყობილი ნასვამ მდგომარეობაში შენიშნეს და ფოტოზე დააფიქსირეს.


THE Sun
ROONEY PICTURE EXCLUSIVE
Wednesday, November 16, 2016 FOR A GREATER BRITAIN 50p thesun.co.uk
OFF ME HEAD SON... AT 5AM
SCARLETT SCOFF IT
I'M A CELEB: PAGES 12 & 13
ENGLAND 2 SPAIN 2
EXCLUSIVE: AIRPORT WORKER ROW
DON'T MESS WITH ME ARGENTINA
By NICK PARKER
Clarkson fury as 'Argie' kicks him off flight

მანჩესტერ იუნაიტედის ფეხბურთელმა ესპანეთისა და ინგლისის ნაკრებების მატჩი გამოტოვა, რის მიზეზადაც მუხლის ტრავმა დასახელდა, თუმცა ზოგიერთ გულშემატკივარს მიაჩნია, რომ სინამდვილეში მიზეზი რუნის არასპორტულად გატარებული საღამო იყო.

გაზეთები კი, საერთოდ, იმასაც წერენ, რომ რუნი იმდენად ნასვამი იყო, გამართულად წინადადების თქმასაც კი ვერ ახერხებდა.

უეინ რუნიმ ბოდიში მოიხადა მომხდარის გამო და მისმა წარმომადგენელმა განაცხადა:

– უეინი მართლაც წუხს იმის გამო, რომ გულშემატკივრებთან ერთად გადაღებული სურათები გამოქვეყნდა. მიუხედავად იმისა, რომ გუნდს გამოსაშვები დღე ჰქონდა, სრულიად აღიარებს მის ადგილას მყოფი ადამიანის ასეთ მდგომარეობაში ამსახველი ფოტოსურათის მიუღებლობას. უეინი გარეთ საუთგეითსა და დენ ეშუორტს ესაუბრა და ბოდიში მოუხადა. მას სურს, თავისი მობოდიშება ყველა იმ ახალგაზრდა გულშემატკივარს გადასცეს, რომლებმაც ეს სურათები ნახეს.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ნეიმარი კოუტინიოს ბარსელონაში გადასვლას ურჩევს



ლივერპულის ფეხბურთელი ფელიპე კოუტინიო ბარსელონის ინტერესის სფეროში მოექცა, თუმცა ლივერპული მის გაშვებას არ აპირებს და კოუტინიოს ინგლისურ კლუბთან ჯერ კიდევ 4-წლიანი კონტრაქტი აკავშირებს.

კოუტინიოს ბარსელონაში გადასვლას მისი თანაგუნდელი ბრაზილიის ნაკრებში ნეიმარიც ურჩევს და, შესაძლოა, კოუტინიომ ცდუნებას ვერ გაუძლოს.

ფელიპე ლივერპულში 2013 წელს გადავიდა და მას შემდეგ ის გუნდის ერთ-ერთი ლიდერია.

წლევანდელ სეზონში კოუტინიო განსაკუთრებით კარგად თამაშობს.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

# ფაჩულია იგებს, დიქსონი აგებს

## საკალათბურთო ლეგიონის ამბები




ზაზა ფაჩულიას გოლდენ სტეიტმა საკმაოდ რთული მეტოქე დაამარცხა სტუმრად. ოკლენდელები ტორონტოში ჩავიდნენ და ადგილობრივ რეპტორსს მიმდინარე სეზონში მესამე მარცხი შეამთხვიეს. იმ დროის გათვალისწინებით, რომელიც ქართველმა ფორვარდმა მოედანზე გაატარა, საკმაო შედეგიანობა გამოავლინა და გამარჯვებაშიც სოლიდური წილი დაიდო.

ფაჩულია სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 16 წუთი გაატარა. ზაზა პირველივე წამებიდან აქტიური იყო. ქართველმა ცენტრმა სადავო გდება იონას ვალანჩიუნასს მოუგო, მალევე მიეცა ქულების მოგროვების შანსი და მან ორივე საჯარიმო გამოიყენა. ფაჩულიამ მალევე კიდევ 2 ქულა მიითვალა და მოედნიდან 4 ქულით გავიდა.

ფაჩულია მეორე პერიოდში დაბრუნდა მოედანზე და 4 წუთში საკუთარ აქტივს კიდევ 4 ქულა შემატა. ქართველი ფორვარდი მესამე პერიოდშიც გამოჩნდა მოედანზე და მის დასრულებამდე 6:26 წუთით ადრე, როცა გოლდენ სტეიტი უკვე 80:64 იგებდა, საბოლოოდ გავიდა მოედნიდან.

ზაზამ მთლიანობაში 16 წუთი ითამაშა და 8 ქულა, 2 პასი და 1 მოხსნა მიითვალა. საქართველოს ნაკრების კაპიტანმა 3-დან 2 ორქულიანი და 4-დან 4 საჯარიმო ჩააგდო. ქართველის ვიზავიმ, ტორონტოელთა ლიტველმა ცენტრმა, იონას ვალანჩიუნასმა მოედანზე 18 წუთი გაატარა და 12 ქულასთან ერთად 8 მოხსნა მიითვალა.

გოლდენსტეიტელთა დამრტყმელი ძალა ტრადიციული იყო: სტეფ კარიმ 35, ხოლო კევინ დიურანტმა 30 ქულა მიითვალა.

9 მოგებითა და 2 მარცხით გოლდენ სტეიტი დასავლეთ კონფერენციაში კლიპერსის შემდეგ მეორე ადგილზეა. ოკლენდელები მომდევნო მატჩს ბოსტონში აღმოსავლეთის კიდევ ერთ მძლავრ გუნდ სელტიქსთან გამართავენ.

ახლა „ევროპელ“ ქართველებზეც.

კოჭის ტრავმის გამო თორნიკე შენგელიამ უკვე მეორე მატჩი გამოტოვა. ბასკონიის ქართველმა ფორვარდმა ამჯერად ევროლიგის მატჩში, ემპორიო არმანისთან „დაისვენა“, მისმა გუნდმა კი უშანსოდ წააგო.

ბასკონია უცნაური გუნდია – სტუმრად მადრიდის რეალი დაამარცხა, თუმცა კაუნასში ჟალგირისთან, ახლა კი მილანში ემპორიო არმანისთან წააგო – 88:76.

ბასკონიას 4 მოგება და 3 მარცხი მოუგროვდა და სატურნირო ცხრილში მე-6 ადგილზე იმყოფება, მომდევნო მატჩს შინ, გერმანული ბროზე ბასკეტის წინააღმდეგ ჩაატარებს. წინასწარი ინფორმაციით, შესაძლოა, ამ თამაშისთვის გუნდს უკვე შენგელიაც დაუბრუნდეს.

საქართველოს ეროვნული ნაკრების ამერიკელი წევრის ბერძნულმა გუნდმა აეკმა, რომელიც ევროპის ჩემპიონთა თასზე ასპარეზობს, ამ ტურნირის მორიგი მატჩი გერმანიაში გამართა და ადგილობრივ ლუდვიგსბურგთან 5 ქულის სხვაობით – 67:72 დამარცხდა.

ქართულპასპორტიანი მაიკლ დიქსონი სტუმართა შორის საუკეთესო იყო, მაგრამ მან ათენელები მარცხისგან ვერ იხსნა.

დიქსონი სასტარტო ხუთეულში არ გახლდათ, მაგრამ თანაგუნდელთა შორის მოედანზე ყველაზე მეტი დრო – 33 წუთი გაატარა და 14 ქულა, 4 მოხსნა, 3 პასი და 1 ჩაჭრა მოაგროვა.

მაიკლმა 6-დან 3 ორქულიანი, 7-დან 2 სამქულიანი და 4-დან 2 საჯარიმო ჩააგდო.

აეკს 3 მოგება და 2 მარცხი მოუგროვდა და ჩემპიონთა ლიგის ე ჯგუფში მე-2 ადგილზე იმყოფება. აეკ-ს მომდევნო მატჩში შინ ბელგრადის პარტიზანს ისტუმრებს.

# ბორჯღალოსანთა რაზმი სამოასთან ცნობილია

საქართველოსა და სამოას მატჩი მიხეილ მესხზე 19 ნოემბერს, 15 საათზე დაიწყება. ბორჯღალოსანთა მთავარ მწვრთნელ მილტონ ჰეიგს შემადგენლობაში 2 იძულებითი ცვლილება მოუხდა, კიდევ რამდენიმე თავისი გადაწყვეტილებით ჩაანაცვლა.



მგეზავი ლაშა ხმალაძე და შუამარბი დავით კაჭარავა ბორჯღალოსნებს სამოას წინააღმდეგ მატჩში ტრავმების გამო ვერ დაეხმარებიან.

ორივე მორაგბე იაპონიასთან დაშავდა. სამედიცინო გამოკვლევამ და დაკვირვებამ ცხადყო, რომ ხმალაძეს მუხლი აქვს დაზიანებული, მინიმუმ 6 კვირა მოედანზე ვერ გავა. კაჭარავა საზარდულმა შეაწუხა. მას ნაკრების ექიმები კვირის ბოლომდე დააკვირდებიან და თუ რეაბილიტაციის პროცესი სასურველი სცენარით წარიმართა, 26 ნოემბერს შოტლანდიის წინააღმდეგ ითამაშებს.

ბორჯღალოსნების მთავარ ექიმ გიორგი ჭუმბურიძის დასკვნით, ხმალაძესა და კაჭარავას იაპონიასთან თამაშის დროს მიღებული ტრავმების შემდეგ კლინიკური და რადიოლოგიური კვლევები ჩაუტარდათ, რის შედეგადაც გამოვლინდა ზემოთ ნახსენები დაზიანებები.

**მილტონ ჰეიგი:**

– გულდასაწყვეტია, რომ ტრავმის გამო ერთბაშად ორი მოთამაშე მოვისაკლისეთ. ხმალაძე და კაჭარავა გუნდის ლიდერები არიან არა მხოლოდ მოედანზე, არამედ, მის გარეთაც და მათი ჩანაცვლება ადვილი არ არის. ორივე ტრავმირებული მორაგბე შეკრებაზე რჩება, რათა გაეწიოთ სათანადო სამედიცინო დახმარება და დროულად გაიარონ რეაბილიტაციის პროცესი. გარდა ამისა მნიშვნელოვანია, რომ ისინი ჩართულნი იყვნენ გუნდის მზადების პროცესში. ეს სხვა მოთამაშეებს აძლევს შანსს, რომ დაწინაურდნენ შემადგენლობაში და საუკეთესოდ წარმოაჩინონ საკუთარი შესაძლებლობები მწვრთნელებისა და დანარჩენი გუნდის წინაშე.

საბოლოოდ ჰეიგის გადაწყვეტილება ასეთია:

მორკინალებმა იაპონელებს შავი დღე აყარეს და ჰეიგმა ფორვარდები უცვლელად დატოვა. თამაშს იწყებს ვასილ ლობჟანიძეც, ხოლო მგეზავად ლაშა მალაღურაძე დადგება, რომელმაც გასულ შაბათს ტრავმირებული ლაშა ხმალაძე მე-11 წუთზე შეცვალა.

ასევე ტრავმირებული შუამარბის დავით კაჭარავას ნაცვლად მერაბ შარიქაძეს გიორგი კოშაძე შეუწყვილდება. რუსთავის ხარების მორაგბისთვის, რომელიც პირველ ლიგაში თამაშობს, ეს პირველი სანაკრებო კეპია. მან თავი უმცროს ბორჯღალოსნებში 2015 წლის მსოფლიო ალაფაში გამარჯვებითა და 2016 ახალგაზრდულ მსოფლიო ჩემპიონატზე საუცხოო თამაშით გამოიჩინა.

ფრთაზე გიორგი აფციაურის ნაცვლად თამაშს გამოცდილი ალექსანდრე თოდუა იწყებს, რომელიც იაპონიასთან განაცხადში არ იყო. მეორე ფლანგზე კვლავ თამაზ მჭედლიძეს, ხოლო ფულბეკად მერაბ კვირიკაშვილს ვიხილავთ.

მარქაფაში სამი ისეთი მორაგბეა, რომლებიც ერთი კვირის წინ განაცხადში არ იყვნენ. კვლავ შეცვლაზეა და სადებიუტო შანსს ელოდება ბადრი ალხაზაშვილი, რომელსაც იაპონიასთან მოედანზე შესვლა არ მოუწია, ხოლო ბურჯები დავით ქუბრიაშვილი და კარლენ ასიეშვილი არიან. ეს უკანასკნელი ვასილ კაკოვინს ჩაანაცვლებს. თადარიგში არც ამჯერადაა მეორე ხაზის მოთამაშე. კვლავინდებურად სკამზეა გიორგი თხილაიშვილი, ხოლო ლაშა ლომიძის ნაცვლად მოედანზე შალვა სუთიაშვილს უნდა ველოდოთ.

მარქაფაში გადაინაცვლა აფციაურმა, სკამიდან იწყებს თამაშს გიორგი ბეგაძეც. იქვეა ქუთაისის ბაგრატის მგეზავი რევაზ ჯინჭველაშვილი, რომელსაც ჰეიგმა ხმალაძის ტრავმის შემდეგ უხმო.

# ლუის სუარესს უხამსი ჟესტის გამო დისკვალიფიკაცია ემუქრება



ურუგვაის ნაკრებისა და ბარსელონის ფორვარდ ლუის სუარესს დისკვალიფიკაცია ემუქრება. ამის მიზეზი კი ის არის, რომ ჩილეს ნაკრებთან მატჩის შემდეგ სუარესმა ჩილელ გულშემატკივრებს შუა თითი უჩვენა.

ურუგვაიმ ჩილესთან 1:3 წააგო და, შესაძლოა, გაღიზიანებულმა სუარესმა, უბრალოდ, თავი ვერ შეიკავა, თუმცა თვითონ ფეხბურთელი ამას უარყოფს და ამბობს, რომ არავითარი უხამსი ჟესტი მას გულშემატკივრისთვის არ უჩვენებია.

ლუის სუარესი ყოველთვის გამოირჩეოდა სკანდალებით, ამიტომ მისი ასეთი საქციელი არავისთვის გასაკვირი არ არის. მიუხედავად მარცხისა, ურუგვაის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლის კარგი შანსი აქვს.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამოთ ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# როგორ ვებრძოლოთ ნაოჭებს?

ეკა ირემაშვილი



ასაკის მატებასთან ერთად, ქალბატონებისთვის სულ უფრო და უფრო დიდი პრობლემა ხდება ნაოჭის გაჩენა. ნაოჭებიდან ზოგიერთი ადამიანების დახმარებით ჩნდება, ამას კი, პირველ რიგში, ცხოვრების სტილი განაპირობებს.

**კანზე ნაოჭების გაჩენა რამდენიმე ფაქტორის „ბრალია“:**

**გამოსხივება** – „ჯანსაღი ნამზეური“ კანის დაზიანების ნიშანია, რომელიც ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედების შედეგია.

**მოწევა** – მოწევა კანს ვნებს. ის აჩქარებს დაბერების პროცესს და ადრეული ნაოჭებს პროვოცირებას იწვევს. მწეველების კანის მიკროსკოპული ანალიზი ცხადყოფს პატარა ნაოჭების გაჩენას უკვე 20 წლის ასაკიდან. დამტკიცებულია, რომ მოწევა კანის ფერსაც კი ცვლის.

**სახის კუნთები** – გაღიმება, გაცინება, გაბრაზების ნიშნად კოპების შეკვრა, მზის გამო თვალების მოხუჭვა – ყველა ეს მოძრაობა თვალების ირგვლივ და შუბლზე ნაოჭების გაჩენას უწყობს ხელს.

**დიეტები** – ხშირი და მკაცრი დიეტები, რომელთა გამოც ადამიანები წონას კარგავენ, მერე კი ისევ იმატებენ და ისევ ხდებიან, კანზეც დამანგრევლად მოქმედებს.

**უძილობა**– არასაკმარისი ძილი პირდაპირ აისახება სახეზე.

იმისთვის, რომ ებრძოლოთ ნაოჭებს, საჭიროა მიიღოთ ვიტამინები, დიდი რაოდენობით წყალი, იცხოვროთ ჯანსაღი ცხოვრების წესით, მოერიდოთ ალკოჰოლს, უარი თქვათ თამბაქოზე და კარგად გამოიძინოთ.

**ვიტამინები** – C ვიტამინი და ცნობილი ატიოქსიდანტები კანს მზის მავნე ზემოქმედებისგან იცავს. ვიტამინი აღადგენს და განამტკიცებს კანს.

**წყალი** – წლების მატებასთან ერთად კანი თანდათან უფრო მშრალი და თხელი ხდება. ტენიანობის საჭირო დონის შესანარჩუნებლად აუცილებელია საკმარისი რაოდენობით წყლის მიღება. დღეში 6-8 ჭიქა წყალი მაინც უნდა მიიღოთ. ამასთან, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ თირკმლებისა და გულის მდგომარეობა.

**თუ ცხიმიანი კანი გაქვთ,** ნაადრევი დაბერების საშიშროება ნაკლებია. თუმცა ცხიმიან კანს ცხიმის უხვად შემცველი კრემები არ უხდება. ამ ტიპის კანისთვის ადრეულ ასაკში, 25-დან 30 წლამდე, უმთავრესად დამატენიანებელი საშუალებებია რეკომენდებული, 35 წლის შემდეგ კი აუცილებელია ღამის მკვებავი კრემის გამოყენებაც.

**მშრალი კანის** პატრონებს განსაკუთრებული ყურადღება მართებთ. მათ მკვებავი კრემის გამოყენება ადრეულ ასაკშივე უნდა დაიწყონ, ხოლო 35 წლის შემდეგ ნაოჭების საწინააღმდეგო საშუალებები დღისითაც გამოიყენონ.

**გაწმენდა-გასუფთავება და პილინგი** ნაადრევ სიბერესთან ბრძოლის ერთ-ერთი ყველაზე ნაცადი და ეფექტური მეთოდია. გარქოვანებული გარსის მოცილებით უმჯობესდება კანის სუნთქვა, აქტიურდება სისხლის მიმოქცევა, უჯრედები უკეთ მარაგდება ჟანგბადით, რაც ნაოჭების წარმოქმნას აფერხებს.

**ჯანსაღი ცხოვრების წესი**– უნდა აირჩიოთ ჯანსაღი და დაბალანსებული საკვები, მიიღოთ ხილი და ბოსტნეული, ხშირად და ცოტ-ცოტა ჭამოთ, მიიღოთ პროდუქტები, რომლებიც აუცილებელ ვიტამინებს შეიცავს.

მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდობის გახანგრძლივებისა და ნაოჭების გასწორების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური გზა სახის მასაჟია, ბოლო პერიოდში ქალბატონები ნაოჭებს ბოტოქსითა და მეზოთერაპიით ებრძვიან.

უსაფრთხოა თუ არა ბოტოქსი და მეზოთერაპია, ამ თემებზე „ახალ თაობას“ „კლინიკა ვაკეშის“ ექიმი-კოსმეტოლოგი **მაია ბენაშვილი** ესაუბრა:

– ნაოჭებს აჩენს კანის არასწორი მოვლა. ახალგაზრდა გოგონები ხშირად მოიხმარენ ტონალურ კრემს, რომელიც ახშობს კანის ფორებს, კანი ვერ სუნთქავს, ბევრს მაკიაჟის ჩამობანა ეზარება და სახეზე იტოვებს. ეს არაფრით არ შეიძლება. კანს უნდა მოვუაროთ სისტემატურად, სახე დავიბანოთ ხშირად, მივმართოთ დროულად სპეციალისტს და სილამაზესაც დიდხანს შევინარჩუნებთ.

***– ყველაზე პოპულარული ადგილები რომელია ნაოჭებისთვის?***

– ცხვირ-ტუჩის მიდამო და თვალების ირგვლივ. სამწუხაროდ, ასაკი გაახალგაზრდავდა. 20 წლისებსაც კი აქვთ უკვე ნაოჭები. ამას იწვევს არაჯანსაღი გარემო, რომელშიც გვიწევს ცხოვრება. ჩვენი დედებისა და ბებიების დროს გარემო უფრო ჯანსაღი იყო – სუფთა საკვები და ნაკლები დაბინძურებული ჰაერი. კანზე პირდაპირ მოქმედებს ეს ყველაფერი.

***– ყველაზე მეტად რა ფაქტორებმა შეიძლება დააჩქარონ ნაოჭების გაჩენა?***

– ალკოჰოლი, თამბაქო, უძილობა ძალიან მოქმედებს. ნაოჭების გაჩენა კუჭ-ნაწლავიდანაც შეიძლება იყოს გამოწვეული. შეიძლება, ეს იყოს საშვილოსნოს პრობლემაც. რაღაც მიზეზი ყოველთვის არსებობს და ამას ადგენს ექიმი. შეიძლება, სახეზე გამონაყარი იყოს, მაგრამ პაციენტმა რაც არ უნდა მოინდომოს და ეცადოს, ვერ მოიშორებს, თუ სპეციალისტს არ მიმართა.

როცა ხარ ექიმი-კოსმეტოლოგი, ცოტა სხვა თვალით უყურებ, ურჩევ პაციენტს, რომ კუჭ-ნაწლავის ტრაქტს, საშვილოსნოს პრობლემებს მიხედოს. მქონდა შემთხვევა, როცა კანზე იყო გამონაყარი და არასწორი სტრუქტურა, რაც გამოწვეული იყო კონკრეტული პრობლემით. მოწესრიგდა ის პრობლემა და კანის პრობლემებიც მოიხსნა. დაიმახსოვრეთ, შინაგანი ფაქტორების მოწესრიგებით კანის პრობლემაც გვარდება.

***– დღეს უძილობა ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა. აჩენს უძილობა ნაოჭებს?***

– რა თქმა უნდა. უძილობა მოქმედებს პირდაპირ თვალებზე, თვალების ირგვლივ შავი წრეები ჩნდება, მერე ცალკე თვალზე მუშაობაა საჭირო. არსებობს თვალისთვის სპეციალური მედიკამენტები, რომლებიც თვალების სიშავეებს უფრო აღიავებს, აჯანსაღებს და უბრუნებს პირვანდელ სახეს. უძილობა, გადაღლა, სტრესი, ნერვიულობა – ყველაფერი სახეზე აისახება.

***– ყველაზე ხშირად პაციენტები სად ისწორებენ ნაოჭებს?***

– ცხვირ-ტუჩის მიდამოში, ყელზე, თვალების მიდამოში, სახეზეც, შუბლის მიდამოში, მაგრამ ცხვირ-ტუჩის კორექცია ძალიან პოპულარულია.

***– გყოლიათ პაციენტები, რომლებსაც რეალურად არ სჭირდებათ თქვენი მომსახურება?***

– ბევრი ამბობს, ერთ რამეს რომ გაიკეთებს, მერე „წიკი“ ეწყება, შეჩვევა იცისო, მაგრამ ასე არ არის. შეჩვევა კი არ იცის, რომ ხედავს, ერთი პატარა ჩარევით რამხელა ეფექტია და როგორი ლამაზია, აღარ უნდა, პირვანდელი სახე ჰქონდეს და უკეთესი და უკეთესი გამომეტყველება უნდა. ადამიანი შემდეგ ძველ ნაკლოვანებებს ვეღარ ეგუება.

ბოლო პერიოდში წამოვიდა ტენდენცია, რომ ქალები უვლიან სახეს და ყველაფერს აკეთებენ, რომ ლამაზად გამოიყურებოდნენ. ადრე უფრო არ იყო ეს ტენდენცია. ძალიან მოდური გახდა ბოლო პერიოდში და მგონია, რომ ხვდებიან, აუცილებელია, მიხედონ თავს. მეტად არიან გათვითცნობიერებული ამ სფეროში, საქმის კურსში არიან, ზუსტად იციან, რას იკეთებენ, როგორ და რატომ და ჩემი ახსნა-განმარტებაც არ სჭირდებათ, საბედნიეროდ. სახის მოვლა აუცილებელია, იმიტომ რომ დღევანდელი მდგომარეობა ამას ითხოვს.

***– ყველაზე პატარა და ყველაზე დიდი პაციენტი რამხელა გყოლიათ?***

– ყველაზე პატარა მყოლია 20 წლის, რომელსაც ვურჩევდი, მაგრამ თავი გაიგიჟა და მაინც გამაკეთებინა ბოტოქსი. ყველაზე ასაკოვანი მყოლია 57 წლის. იმის იქით, სამწუხაროდ, თუ მოვლილი არ აქვს კანი, ქირურგიული ჩარევის გარეშე აღარაფერი ეშველება. თუ ისეთი ქალბატონია, რომ მუდმივად უვლის კანს, სულ იტენიანებს, იკეთებს მეზოთერაპიას, ბევრი ჩარევა არ სჭირდება და ვშველით.

***– რით არის უსაფრთხო მეზოთერაპია და ბოტოქსი?***

– ბოტოქსი ოქსინია, მაგრამ უკუჩვენებები არ არის დამახასიათებელი, თუ სწორად გააკეთე. საკმარისია, დოზა გადაჭარბებულად მოუვიდეს ექიმს, ამ შემთხვევაში იწვევს ფტოზს, ანუ თვალის ჩამოვარდნას, ქუთუთოს ჩაწევას, ასიმეტრიას. შეიძლება, უკუჩვენება იყოს ალერგიული რეაქცია. სწორად გაკეთებული ბოტოქსი საშიში არ არის. ბოტოქსი ყველაზე საფრთხილო გასაკეთებელია და უმნიშვნელოვანესია, რომ სწორად გაკეთდეს. თუ დააკლდა ბოტოქსი, ნაოჭები დარჩება. ეს საშიში არ არის, მისი გასწორება შეიძლება რაოდენობის დამატებით მომდევნო ვიზიტზე.

***– თუ ადამიანმა ბოტოქსი ერთხელ გაიკეთა, რა სიხშირით მოუწევს სიარული სპეციალისტთან?***

– 6 თვეში ერთხელ მოუწევს სპეციალისტთან ვიზიტი.

***– ყველაზე სავალალო შედეგი, რაც შეიძლება მოიტანოს ბოტოქსის კეთებამ და მეზოთერაპიამ?***

– მეზოთერაპია რამდენიც არ უნდა იკეთოთ, უკუჩვენებას არ იწვევს. ქიმიური დანამატები კი აქვს, მაგრამ უსაფრთხოა. ბოტოქსს რაც შეეხება, ხშირად მისი გაკეთება არ შეიძლება. თვითონ გიჩვენებს ნაოჭები, როდის არის საჭირო ბოტოქსის გაკეთება.

***– ვისთვის არ შეიძლება თქვენი მომსახურეობით სარგებლობა?***

– ორსულები, მეძუძური დედები, ძლიერ ალერგიული პაციენტები, ონკოლოგიური ავადმყოფები. არ არის მიზანშეწონილი მათთვის, ვისაც ფარისებრ ჯირკვალზე სერიოზული პრობლემები აქვს, ასევე ინსულინზე დამოკიდებულები.

***– მამაკაცები მოგმართავენ?***

– თქვენ წარმოიდგინეთ, კი. წამოვიდა ეს ტენდენცია და მოხარული ვარ. მამაკაცებს არ უნდათ მოვლა? ტუჩების კორექციას არ იკეთებენ, მაგრამ ბოტოქსსა და სახის წმენდაზე მოდიან.

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);

2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);

3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;

4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);

5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.

**კონსულტაცია უფასოა!**

☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).

მისამართი: ალმაშენებლის 154.

„მწვანე ოფისი“.

## მადლობის წერილი

**ამა წლის 20 ოქტომბერს ალექსანდრე ალადაშვილის კლინიკის კარდიოლოგიურ განყოფილებაში გავიკეთე გულის სტენტირება. უაღრესად დიდ მადლობას ვუხდი ყურადღებისა და ზრუნვისთვის იქ მომუშავე ექიმებს: რამაზ მიმინოშვილს, იაგო ხელაიას, მაკა წყალობაშვილს, ექთნებს – ლანა სოლოღაშვილს, თიკო ლომსაძეს, თინა გაბუნიას, თამუნა გალავანიშვილს, რუსუდან ჩიკვილაძესა და ეკა სირანაშვილს. ვუსურვებ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და ჩემსავით მძიმე ბევრი ავადმყოფის გადარჩენას.**

**კიდევ ერთხელ დიდ მადლობას ვუხდი ყველა იქ მომუშავე მედპერსონალს ჩემ მიმართ გამოჩენილი გულისხმიერებისთვის.**

პატივისცემით,

შურა ქობალია (შანიძე)

## ასტროპროგნოზი

**18 ნოემბრისათვის**



**ვერძი** – ფინანსური ოპერაციებისას ზედმეტი რისკი გავნებთ. ზოგიერთი ნაცნობის მიმართ ქცევის შეცვლა მოგიწევთ. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს და უფრო რბილი და მოქნილი იყავით. **კურო** – კარგი დროა ხელშეკრულებების გასაფორმებლად, მივლინებებისათვის. მიმართეთ ძველ მეთოდებს. ექსპერიმენტები რეკომენდებული არ არის. **ტყუპები** – თუ იმ საქმეს გააკეთებთ, რომელშიც კარგად ერკვევით, დღის პირველი ნახევარი წარმატებული იქნება. თავს ნუ გადაიტვირთავთ. **კირჩხიბი** – ახლობლებს დაეხმარეთ, მაგრამ ისე, რომ თქვენი პირადი ინტერესები არ დაზარალდეს. **ლომი** – შემოქმედ ადამიანებს კეთილისმყოფელი დღე აქვთ. საღამო მეგობრების წრეში გაატარეთ. **ქალწული** – თქვენს მტრებზე შური არ იძიოთ. კეთილშობილება და მიმტევებლობა საქმეს უფრო წაადგება. პროფესიულ საქმიანობაში ცვლილებებია მოსალოდნელი. **სასწორი** – არც ზედმეტი თავდაჯერებულობა ვარგა და არც გაუბედაობა. ზომიერება დაიცავით. **ღრიანკალი** – ძალიან გაღიზიანებული ხართ. ერიდეთ ადამიანებს, რომლებიც თქვენზე უარყოფით გავლენას ახდენენ. **მშვილდოსანი** – პლანეტა ვენერა რომანტიკულ ურთიერთობებში გეხმარებათ. განსაკუთრებით იღბლიანი დღეა ქალებისათვის. **თხის რქა** – იღბლიანი დღეა. რასაც ხელს მოჰკიდებთ, ყველაფერი დიდებულად გამოგივათ. ახალი იდეების განხორციელება წარმატებას მოგიტანთ. **მერწყული** – ვარსკვლავები სასიყვარულო ურთიერთობებში გეხმარებიან. ბედი გწყალობთ. **თევზები** – ფინანსური ოპერაციები წარმატებით ჩაივლის. კომპრომისზე წასვლა დღეს აუცილებელია. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც გაგიჩნდეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. წყლის დიდი სივრცე, ოკეანის ნაწილი; 2. ელექტრონული წინაღობის საზომი ერთეული; 3. კრიტიკული მდგომარეობა ჭადრაკში; 4. ღვინის სასმისი; 5. სოფელთა სახელწოდება შუა აზიაში; 8. წყალქვეშა კლდე; 9. ფრანგული თოჯინური თეატრის მთავარი პერსონაჟი; 10. ტბა სამხრეთ საქართველოში; 12. გემით ტვირთის გადაზიდვის საფასური; 13. ჯეიმს ჯოისის რომანი; 15. ცირკის მოედანი.

**თარაზულად**: 1. ბუს მეორე სახელწოდება; 6. ქალაქი კახეთში; 7. ზღვისპირა კურორტი ბულგარეთში; 10. წნული ქოხი სამეგრელოში; 11. ცნობილი ფრანგი კარიკატურისტი; 13. ხელოვნების მუზეუმი ფლორენციაში; 14. ევროპისა და აზიის გამყოფი ქედი; 16. უძველესი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული საქართველოში; 17. უძრავი ქონების დაგირავებით აღებული სესხი; 18. მთვარიანი ღამე.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. სლალომი; 2. აპოთემა; 3. ბაჰრეინი; 4. გულანი; 5. ჰორმონი; 8. ჰიგიენა; 9. მეზონინი; 12. როსელინი; 13. ანაკლია; 16. უზბეკეთი; 17. გორგოძე; 19. კომბლე; 20. საუზმე.

**თარაზულად:** 6. კლეოპატრა; 7. პუნსონი; 8. ჰარირა; 10. ბონდერი; 11. მონე; 14. ბენეტონი; 15. ესკულაპი; 18. აზალია; 21. ოტიატრი; 22. ვარნა; 23. ეოლითი; 24. ლითოსფერო.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. თორი; 2. ირი; 3. ელექტრონი; 4. ბურგი; 5. ბაჯაღლო; 8. მუხა; 9. ზამბეზი; 10. გარანტია; 12. აიაქსი; 13. ფიატი; 15. აპაში.

**თარაზულად:** 1. თაკვერი; 6. კლაუზულა; 7. რომბი; 10. გოტიე; 11. შხარა; 13. ფობია; 14. პრადო; 16. ქადა; 17. იკებანა; 18. ფელინი.

# არტაანში უძველესი ნაქალაქარი აღმოაჩინეს



სამხრეთ კავკასიისა და ანატოლიის კვლევის ცენტრის მორიგმა ექსპედიციამ 10 ნოემბერს ისტორიულ არტაანში, სოფელ კონქის მიდამოებში უძველეს ნაქალაქარს მიაკვლია.

ეს უზარმაზარი კომპლექსი ქრისტეს შობამდე ქართველური ტომების ერთ-ერთი ადმინისტრაციული ცენტრი იყო. პუნქტი არტაანიდან კოლასა და კლარჯეთში გადამავალ გზებს აკონტროლებდა და დღემდე უცნობი იყო მკვლევართათვის.

კომპლექსს გარს რამდენიმე ასეული მეტრის სიგრძის გალავანი ერტყა და საკმაო ფართობს მოიცავდა, ჰქონდა ასევე დიდი ციტადელი.

– სამწუხაროა, რომ ოდესღაც ასეთი ღონიერი ქალაქი დღეს ალაგ-ალაგღა იკითხება, თუმცა საერთო პერიმეტრი და ძირითადი ხაზები, ასე თუ ისე, მაინც განირჩევა. ციხე-ქალაქს გარს რამდენიმე ასეული მეტრის სიგრძის გალავანი ერტყა და საკმაო ფართობს მოიცავდა. მაგალითად, მარტო სამხრეთ კედელი 200 მეტრზე მეტი იყო, – განაცხადა ისტორიკოსმა ბუბა კუდავამ.

ექსპედიციამ ირმა ბერიძის, ბუბა კუდავას, გოჩა საითიძის, ნიკოლოზ ჟღენტისა და ნათია ხიზანიშვილის შემადგენლობით ამ პუნქტის მახლობლად კიდევ რამდენიმე ციხესა და ნასახლარს მიაკვლია. ჩვენ მიერ გამოვლენილი ამ დიდი კომპლექსის მსგავსი ციხე-ქალაქები იგულისხმებოდა უთუოდ ძველ ასურულ და ურარტულ წარწერებში მოხსენიებულ ქართულ ტომობრივ გაერთიანებათა „ქალაქებში".

# კოტე მახარაძე 90 წლის გახდებოდა



მსახიობი და სპორტული კომენტატორი კოტე მახარაძე 90 წლის გახდებოდა. მისი საიუბილეო თარიღი სხვადასხვა კულტურული ღონისძიებით აღინიშნა.

კოტე მახარაძემ თეატრალური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ რუსთაველის თეატრში დაიწყო მუშაობა, 23-წლიანი მოღვაწეობის შემდეგ კი მარჯანიშვილის თეატრში გადავიდა.

წლების განმავლობაში კოტე მახარაძე თეატრალურ უნივერსიტეტში ტელეჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანი და პროფესორი იყო.

კოტე მახარაძემ თბილისში დააარსა ერთი მსახიობის თეატრი „ვერიკო", რომელიც ვერიკო ანჯაფარიძის ხსოვნას მიუძღვნა. ხელოვანი ამ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და მსახიობი იყო სიცოცხლის ბოლომდე.

თეატრალური ცხოვრების პარალელურად, იგი გატაცებული იყო სპორტით, იყო საქართველოს კალათბურთის ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანი, მოიპოვა საბჭოთა კავშირის თასი, თამაშობდა კალათბურთს თბილისის დინამოში.

სპორტული კომენტატორობით მის ცხოვრებაში სულ სხვა ეტაპი დაიწყო. ის მუშაობდა სპორტულ კომენტატორად ჯერ საქართველოს, ხოლო შემდგომ საკავშირო რადიოსა და ტელევიზიაში, 40 წლის განმავლობაში მიჰყავდა რეპორტაჟები ქართულ და რუსულ ენებზე. მას მიჰყავდა თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის ორი ისტორიული თამაშის რეპორტაჟი, 1964 წელს ეროსი მანჯგალაძესთან ერთად, როცა „დინამო" გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, ხოლო 1981 წელს მოიპოვა ევროპის თასების თასი.

კოტე მახარაძე 76 წლის ასაკში გარდაიცვალა. ის დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს.

# მიხეილ ჟვანეცკი თბილისში ჩამოდის



პირველად საქართველოში – ცნობილი სატირიკოსი, მწერალი და ფილოსოფოსი მიხეილ ჟვანეცკი თბილისში ჩამოდის.

82 წლის რუსეთისა და უკრაინის სახალხო არტისტი საკუთარი ლიტერატურული ნაწარმოებების მთავარი წარმდგენია. მის მიერ დაწერილი მონოლოგები და მინიატურები მაყურებელში დიდი პოპულარობით სარგებლობს.

მიხეილ ჟვანეცკის საავტორო საღამო რუსთაველის თეატრშია დაგეგმილი. მისი შემოქმედების მოყვარულებს მწერალთან შეხვედრის საშუალება 11 დეკემბერს მიეცემათ.

# ნინი წიკლაური დედა გახდება

მომღერალი ნინი წიკლაური დედა გახდება. მას და მის მეუღლეს თემო ტუღუშს გაზაფხულზე პირველი შვილი გაუჩნდებათ.

როგორც ნინიმ ჟურნალისტებს განუცხადა, ის და თავისი მეუღლე ბიჭს ელოდებიან. როგორც ახალბედა მშობლები აცხადებენ, მათთვის ბავშვის სქესს მნიშვნელობა არ ჰქონდა.

ამ სასიხარულო მოვლენისთვის აქტიური მზადება უკვე დაწყებულია.

– პატარა ბიჭის დედა ვხდები, ოჯახში პატარა ბავშვი არ გვყოლია, ამის გამოცდილება არ გვქონია და არ ვიცი, ეს როგორია. უკვე ვხვდები, რალაც საოცრება გველოდება წინ. მინდა, ორსულის კურსები გავიარო, რომ უფრო მეტად ვიყო მომზადებული და ვიცოდე სწორად გამოცვლა, სწორად თავის დაჭერა და ჭამა. ღმერთს სულ ვთხოვდი, თუ შენ ჩათვლი საჭიროდ, ეს ბედნიერება მომანიჭე-მეთქი... და ერთ დღეს ასეთი სასწაული მომივლინა.



მოამზადა ეკა ირემაშვილმა

# ქართველი მოდელი მოულოდნელად გარდაიცვალა



ქართველი მოდელი ქეთი ჯაფარიძე მოულოდნელად გარდაიცვალა. როგორც მისი მეგობრები აღნიშნავენ, ის მოულოდნელად გახდა ავად და ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს.

– ჯანმრთელი, წარმატებული გოგო... დიპლომები აიღო, დაგეგმილი პერსპექტივით, უცხოეთიდან სვანეთში დაბრუნდა ცოტა ხნით და ერთ თვეში დამთავრდა ყველაფერი... დღეს დილით სვანეთში გადაასვენეს... საბრალო... სიტყვები უძლურია იმ ტკივილის გამოსახატად, რომელსაც შენი დაკარგვის გამო განვიცდით, ჩვენო თბილო და ულამაზესო ქეთი. ნათელში იყოს შენი ლამაზი სული! – ასე ემშვიდობებიან მოდელს სოციალურ ქსელში მისი მეგობრები.

ქეთი ჯაფარიძე ბოლო წლებში ჩინეთში მოღვაწეობდა, სხვადასხვა ჩვენებასა და პროექტში მონაწილეობდა. ქეთის დაც ჰყავს, ჟუკა ჯაფარიძე, რომელიც ასევე მოდელია.

# ჰოლანდიელი მშენებელი შემთხვევით მოდელი გახდა



ამსტერდამელი მშენებელი ტვიტერის ვარსკვლავი გახდა, შემდეგ კი მოდელიც, მას შემდეგ, რაც მისით მოხიბლულმა გოგონამ ქუჩაში სურათი გადაუღო და სოციალურ ქსელში განათავსა.

მას შემდეგ, რაც 21 წლის ლონდონელმა სტუდენტმა დანიკამ ახალგაზრდა მამაკაცის ფოტოსურათი ტვიტერში საკუთარ აკაუნტში განათავსა, მან მოკლე დროში უდიდესი პოპულარობა მოიხვეჭა. მომხმარებლებმა, რომლებსაც უცნობი ასევე მოეწონათ, გადაწყვიტეს, ის მოეძებნათ.

გაირკვა, რომ მშენებელს ნიკი ლიბერტი ჰქვია. ის ინსტაგრამში მოიძებნა და მისი აკაუნტის ხელმომწერთა რაოდენობა რამდენიმე დღეში 485-დან 35 ათასამდე გაიზარდა. ამის შემდეგ მშენებელს დაუკავშირდნენ სამოდელო სააგენტო ელიტის წარმომადგენლები და კონტრაქტი შესთავაზეს.

– ისინი ჩემთან მოვიდნენ, და მკითხეს, მოდელი ხომ არ ვიყავი. მე ვუპასუხე „არა", თორემ სხვა შემთხვევაში აქ ხომ არ ვიქნებოდი, – განაცხადა ლიბერტმა.

სააგენტოში ნიკის ფოტოსესია ჩაუტარეს და კონტრაქტი გაუფორმეს.

# ახალ ზელანდიაში პინგვინებისთვის მიწისქვეშა გასასვლელი გააკეთეს



ახალი ზელანდიის ქალაქ ოამარუში პინგვინებისთვის მიწისქვეშა გადასასვლელი ააშენეს. ამ ინფორმაციას ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

ყოველ დილით მომცრო პინგვინები ოკეანის სანაპიროსკენ მიემართებიან, იქ მთელ დღეს ატარებენ, საღამოს კი უკან, თავიანთ საბუდარ ადგილს უბრუნდებიან. ახალი მიწისქვეშა გადასასვლელი მნიშვნელოვნად შეამცირებს ფრინველების მანქანების ბორბლებ ქვეშ მოხვედრის რისკს. ასევე ეს მათ დაეხმარებათ თავი აარიდონ მომაბეზრებელ ტურისტებთან შეხვედრას.

მომცრო პინგვინები, რომლებიც ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში ბინადრობენ, ამ ფრინველების ყველაზე დაბალი სახეობაა. მათი სხეულის სიგრძე 30-40 სანტიმეტრს არ აღემატება.

# ჩინეთის ზოოპარკში ძაღლი მგლებთან შეასახლეს

ჩინეთის პროვინცია შანდუნის ქალაქ დეჩჟოუს ზოოპარკის წარმომადგენლებმა აღიარეს, რომ მგლების ვოლიერში ძაღლი ბინადრობს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი სააგენტო ავრცელებს.

ზოოპარკის ბინადარი ციმბირული ჰასკის ჯიშის ძაღლი ვიდეოს გმირი გახდა, რომელიც პოპულარობით სარგებლობს ჩინურ სოციალურ ქსელებში. ვიდეორგოლში ჩანს, თუ როგორ გაჭირვებით გადაადგილდება ძაღლი ვოლიერში. ის წინა თათით შესამჩნევად კოჭლობს, მის გვერდით კი საშუალო ზომის მგელი დადის.

ამ ვიდეომ ცხოველების მოყვარულთა აღშფოთება გამოიწვია. მათ ივარაუდეს, რომ ჰასკი მასთან ერთად ვოლიერში მყოფი მტაცებლების თავდასხმის გამო კოჭლობს.

ზოოპარკის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ ძაღლი მგლების ვოლიერში იმიტომ მოათავსეს, რომ დამთვალიერებლებისთვის უფრო საინტერესო ყოფილიყო. ისინი ამტკიცებენ, რომ გარეული ცხოველები შინაურს პატივისცემით ეპყრობიან და მის ტრავმასთან შეხება არ ჰქონიათ.

სოციალურ ქსელებში გამოთქმული მკაცრი კრიტიკის შემდეგ ძაღლი დროებით სხვა ადგილას გადაიყვანეს, მაგრამ, როგორც კი დაშავებული თათი მოურჩება, ისევ მგლებთან დაბრუნდება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა



ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# სამგლოვიარო განცხადებები

მწუხარებით ვიუწყები ახლო მეგობრის

**გურამ მიქიაშვილის**

გარდაცვალებას და თანავუგრძნობ განსვენებულის ოჯახს.

გურამ კვიკვინია

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## პროგრამა

პარასკევი 18 ნოემბერი

06.00, 14.00 ტ/სერ. "ფრანკლინი და ბეში" 07.00 დ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა" 08.00 "მხიარული ფერმა" 08.40 "ტელემანი" 09.00 "მოამბე დილას" 10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00 "მოამბე" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00, 19.00 ტ/სერ. "ტრიუმფი" 12.20 მხ/ფ "კონკორდი. აეროპორტი 79" (ა.დელონი) 15.00, 02.50 "X სტუდია" 16.30 "ეკონომეტრი" 17.00 დ დოკ/სერ. "დროისა და სივრცის მიღმა 21.00 ტ/სერ. "შურისძიება" 22.00 თოქ-შოუ – "რეალური სივრცე" 23.00 ტ/სერ. "ამერიკელები" 00.00 მხ/ფ "მწვანე მილი"

08.00, 14.00 დ/ფ "ბედნიერება თეფშზე" 09.00, 17.00 დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" 10.00 "გეოფაქტორი" 10.20 მხ/ფ "ნევერლენდი" 2 ნაწ. 12.00 ტ/სერ. "გულის მუსიკა" 13.00 ტ/სერ. "ჩენტო ვეტრინე" 15.00, 18.00 "ბრიფინგის დრო" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" 21.00 "ეპიცენტრი" 22.00, 01.00 ტ/სერ. "ლოს ანჯელესის პოლიცია" 23.00 "მოამბე" (3 ენაზე) 00.30 "ნამდვილი დრო"

06.30, 16.00 სერ. "თანხმობა" 07.30, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.15 ქრონიკა 07.35, 08.15, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "ერთი სიყვარულის ამბავი" 11.20 სერ. "სიყვარულის ჟამი" 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. "ფიცი" 17.35 სერ."პატარძალი" 18.50, 19.03 სერ. "ღირსების სახელით" 20.55 სერ. "შავი ვარდი" 22.00 ღია ეთერი – პოლიტიკური თოქ შოუ 23.30 სერ. "ვიკინგები" 1 სერ. 00.30 მხ/ფ "ნოკაუტი" 02.30 მხ/ფ "შემზარავი წინათგრძნობა" 04.05 მხ/ფ "ჩე: ნაწილი მეორე"

06.00 სერ. "დაკარგული ბავშვობა" 06.45 სერ. "გაბრიელა" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "დინასტია" 12.30 "სხვა შუა დღე" 13.55 სერსერ. "წითელი და შავი" 15.55 სერ. "ინდური საგა" 16.55 სერ. "ცხოვრების გზები" 18.50 სერ. "ოქროს გალია" 19.55, 20.05 სერ. "დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა" 20.50 ლოტო 22.00 ვანოს შოუ 23.00 ქერის უბანი 23.30 სერ. "ჩემი ცოლის დაქალები" 00.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერის დაიჯესტი

8.00 ან/ფ "ფანბოი და ჩამ-ჩამი" 9.00, 19.00 სერ. "დოქტორი ჰაუსი" 10.00, 18.00 სერ. "სკანდალი" 11.00სერ. "კერძო პრაქტიკა" 13.00, 3.15 სერ. "კრიმინალური აზროვნება" 15.00 გვიანი შუადღე 17.00 სერ. "სასოწარკვეთილი დიასახლისები" 20.00 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები 20.30 20.30 22.00 სერ. "ტიფლისი"

06.15 კვირიაკე 07.20 დ/ფ "ველური ბუნება" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.35 ლექციები მეფუტკრეობაზე 10.50 მოკ. მხ/ფ "რა გაცინებს" 12.10 პორტრეტები 13.15 ერთხელ ბავშვობაში 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 გამოყენებითი ხელოვნება "მინანქარი" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.10 ქართ. ან/ფ 15.30 ტრაპეზი "პური" 15.50 კონცერტი 17.00 მიწათმოქმედი "ქართული ხორბლის მნიშვნელობა" 17.30 ჩვენი საგანძური 18.10 "განთიადის" სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ "ფილატელისტის სიკვდილი" 20.40 ძილი ნებისა "უხეირო დათუნია" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.10 ქვიშით ამღერებული პოეზია 21.15 დროის ჩანაწერები 22.25 მოგზაურობა სამშობლოში "გუდარეხი" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.35 დეკორატიული ფლორა "პიონი-იორდასალამი" 00.35 მგზავრები წუთისოფლისა 01.00 დ/ფ 01.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.30 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) 8.00 სერ. "კარმელიტა" 10.00 სერ. "ცენტრალური საავადმყოფო" 11.00 პოლიტ თოქ-შოუ "ცეცხლის ხაზი" (17.11.16) 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 23.30 "ბიზნეს კონტაქტი" 13.30 სერ. "ცენტრალური საავადმყოფო" 14.30 სერ. "ორი გული" 15.00 "კონტაქტი სამზე" 15.30 სერ. "სიყვარულის იმპერია" 16.00, 3.00 სერ. "კარმელიტა ბოშური ვნება" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 18.50 სერ. "გაზაფხულზე იბადება სიყვარული" 19.55 "დამზადებულია საქართველოში" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.55 სერ. "ბემი" 22.40 სერ. "ესკობარი" 1.00 მხ/ფ "გამყოფი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**18 ნოემბრისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

- აშშ დოლარი — 2.4926
- ევრო — 2.6686
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.1018
- 100 რუსული რუბლი — 3.8143

## ამინდის პროგნოზი 18 ნოემბრისთვის




## 15 ნოემბრიდან




### ჯონ ტენერი
# ოცდაათი წელი ინდიელთა შორის

ჯონ ტენერის წიგნი „ოცდაათი წელი ინდიელთა შორის“ მოგვითხრობს იმ ადამიანის ცხოვრებასა და თავგადასავალზე, რომელიც მე-18 საუკუნის დამლევს 9 წლის ასაკში მოიტაცეს და შემდეგ იშვილეს ჩრდილო ამერიკის ინდიელებმა.

ჯონმა მათთან თითქმის 30 წელი გაატარა. ამ ხნის განმავლობაში მას დაავიწყდა მშობლიური ენა და სავსებით შეითვისა ინდიელთა ტრადიციები და ზნე–ჩვეულებანი, მაგრამ თეთრკანიან ნათესავებთან დაბრუნების სურვილი არ ტოვებდა.

როგორ დაუბრუნდა იგი თეთრკანიან საზოგადოებას და როგორ შეეთვისა ახალ საზოგადოებას, ამას წიგნის წაკითხვის შემდეგ გაიგებთ.

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**

## იუმორი



მამაკაცი აფთიაქში გამყიდველს ეუბნება:

– რაიმე ისეთი წამალი მომეცით, რომ არ შევრცხვე, დღეს საღამოს ორ მაგარ გოგონას ველოდები და ხომ ხვდებით. ერთი სიტყვით, რაიმე საუკეთესო მომიძებნეთ.

– აი, ინებეთ, სულ ახალი მიღებული გვაქვს, საზღვარგარეთულია. აი, ნახეთ, აწერია – მეტისმეტად ძლიერად ასტიმულირებს ლიბიდოს და წარმოუდგენლად ზრდის პოტენციას.

– სწორედ ის არის, რაც მჭირდება.

მეორე დღეს მამაკაცი ძლივს შელასლასდა აფთიაქში და გამყიდველს ეუბნება:

– რაიმე საცხი მომეცით, კანზე წასასმელად.

– თქვენი გოგონებისთვის?

– არა, ჩემი ხელებისთვის, გოგონები არ მოვიდნენ...

•••

ბავშვმა პირველად დაინახა კაბაში გამოწყობილი დედა და ეკითხება:

– დედა! შენ, რა, გოგონა ხარ?

•••

ადრე სკოლაში წერას და კითხვას ასწავლიდნენ, ახლა კი სკოლაში ამოწმებენ, თუ ამ ყოველივეს როგორ ასწავლიან სახლში.

•••

ექიმი პაციენტს ეკითხება:

– გასახდომ აბებს იღებთ?

– დიახ.

– რამდენს?

– სანამ არ დავნაყრდები!

•••

კარზე აკაკუნებენ:

– გააღეთ, პოლიციაა!

– ჩვენ პოლიცია არ გამოგვიძახებია, მეძავები გამოვიძახეთ!

– თქვენმა მეზობლებმა გამოგვიძახეს!

– ჰოდა, იმათ ასიამოვნეთ!

•••

ღამით ქმარი ცოლს აღვიძებს:

– დედაკაცო...

– რა იყო.

– უცბად მამინდი, ქალო...

– უი, მეხი კი დაგაყარე, მაგითვინ გამაღვიძე? რა, დაგავიწყდა, სად რა დევს?

•••

კაცი კაკლის ჩრდილშია წამოწოლილი და ხედავს, მამალი დედალს ჩინჩლავს. ამ დროს მისი ცოლი გამოვა და ქათმებს საკენკს დაუყრის. მამალი დედალს თავს ანებებს და საკენკისკენ გაიქცევა.

კაცმა ორივე ხელი ზევით აღმართა და დაიძახა:

– ვაა, ღმერთო, ეგრე არ მომაშივო, რა...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.





## 18 ნოემბრიდან




# მოთხრობები რობინ ჰუდზე

რობინ ჰუდი შუა საუკუნეების ინგლისის ლეგენდარული გმირია. მასზე ბევრი ხალხური ბალადაა შექმნილი. ამ წიგნში თავმოყრილია რობინ ჰუდისა და მისი „მხიარული მეგობრების“ საინტერესო და მიმზიდველი თავგადასავალი, მათი გმირული ცხოვრებისა და საქმიანობის ცალკეული ეპიზოდები.

წიგნი ილუსტრირებულია ლუის ჯონ რიდისა და ჰოვარდ პაილის სურათებით.

**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**

# წლის ყველაზე სექსუალურ მამაკაცად დუეინ ჯონსონი აღიარეს



ჰოლივუდის მსახიობი დუეინ ჯონსონი ყველაზე სექსუალურ მამაკაცად აღიარეს. მსახიობმა ჟურნალ ფიფლის 2016 წლის რეიტინგის სათავეში დაიკავა ადგილი. ამ ინფორმაციას გამოცემის ვებგვერდი ავრცელებს.

– საკუთარს თავს ვუთხარი: „ეს შესანიშნავია“. ასევე გავიფიქრე: „დიახ ჩვენ მწვერვალს მივაღწიეთ“. აღარ ვიცი, შემდგომში რა უნდა გავაკეთო, – განაცხადა 44 წლის ჯონსონმა მიღებული ტიტულის შემდეგ საკუთარ ემოციებზე.

გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში დუეინმა განაცხადა, რომ, მისი აზრით, საკუთარი სექსუალურობის საიდუმლო იმაში მდგომარეობს, რომ არასოდეს უცდია, ყოფილიყო სექსუალური. მან ასევე აღიარა, რომ ის საკუთარ კანს საგულდაგულოდ უვლის.

2015 წელს ყველაზე სექსუალურ მამაკაცად, ჟურნალ ფიფლის ვერსიით, ფეხბურთელი დევიდ ბექჰემი დასახელდა, ხოლო 2014 წელს – მსახიობი კრის ჰემსვორტი.

# ინდოელ პოლიტიკოსს ქალიშვილის ქორწილი 74 მილიონი დოლარი დაუჯდა



ინდოეთის კარნატაკას შტატის ყოფილმა მინისტრმა თავის ქალიშვილს ქორწილი გადაუხადა, რომელიც მას 74 მილიონი დოლარი დაუჯდა.

49 წლის გალი ჯანარდხანა რედიმ ბოლივუდის რვა რეჟისორი დაიქირავა, რომლებიც ცერემონიისთვის შოუს ორგანიზებით იყვნენ დაკავებულნი.



ღონისძიება ხუთ დღეს გრძელდებოდა. სტუმრებსართობდნენ ადგილობრივი ცნობილი სახეები. ვიდეორგოლის მიხედვით, რომლის ჩვენებაც ქორწილის დროს ხორციელდებოდა, პატარძალი ცნობილი დიზაინერების ტანსაცმელს იცვლიდა, ხოლო სიძე ხუთი თეთრი ცხენის გარემოცვაში იმყოფებოდა. გოგონას მშობლებმა ფონოგრამით შეასრულეს სიმღერა, რომელიც საგანგებოდ ცერემონიისთვის იქნა ჩაწერილი. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გოგონას საქორწინო სარი 2,5 მილიონი დოლარი ღირდა, ხოლო მისი სამკაულები – 12,4 მილიონი დოლარი.

რადი ინდოეთის ერთ-ერთ უმდიდრეს პოლიტიკოსად ითვლება. 2004 წელს მან კარნატაკას შტატში რკინის მადნის მოპოვების ლიცენზია მიიღო.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ალვარო მორატამ, შესაძლოა, ატლეტიკოსთან შეხვედრა გამოტოვოს



მადრიდის რეალის ფორვარდმა ალვარო მორატამ ესპანეთის ნაკრების მატჩში მაკედონიასთან ტრავმა მიიღო და, სავარაუდოდ, ის რეალს ატლეტიკოსთან შეხვედრაში ვერ დაეხმარება.

ჯერჯერობით უცნობია, თუ რამდენი ხნით იუქმებს ალვარო, თუმცა ექიმები მაქსიმუმ ორ კვირას ვარაუდობენ. მორატას მუხლის ტრავმა აქვს, რომელიც ფორვარდს ადრეც აწუხებდა.

ალვარო მორატა რეალის აღზრდილია, თუმცა 2014 წელს მან სამეფო გუნდი დატოვა და ტურინის იუვენტუსში გადავიდა სათამაშოდ. იუვენტუსში წარმატებული კარიერის შემდეგ მორატამ სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა და ამჟამად ის მადრიდის რეალის ღირსებას იცავს.

ატლეტიკოსთან შეხვედრა 19 ნოემბერს გაიმართება.

# ფრანკ რიბერი ბაიერნთან ახალ კონტრაქტს გააფორმებს



ბაიერნის ფრანგი შემტევი, ნახევარმცველი ფრანკ რიბერი გერმანულ გუნდთან კონტრაქტს გაახანგრძლივებს.

რიბერის კონტრაქტი მიმდინარე წლის ბოლოს ეწურება და ის ახალ ერთწლიან ხელშეკრულებას მოაწერს ხელს.

რიბერი ბაიერნის ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელია და წელიწადში 14 მილიონ ევროს იღებს.

ბაიერნში რიბერი 2007 წლის ზაფხულში გადავიდა ფრანგული მარსელიდან და ბაიერნთან ერთად უამრავი ტიტული მოიგო, მათ შორის 6-ჯერ – გერმანიის ჩემპიონატი და 2013 წელს – ჩემპიონთა ლიგა.

რიბერი 33 წლის არის და კარიერის დასრულებას ბაიერნში აპირებს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

# კროსვორდი ა



**შვეულად**: 1. ჯაშუშის ძველებური სახელწოდება; 2. სამარკო და საკოლექციო ღვინოების საცავი; 3. უბანი თბილისში; 4. ნიჩბოსანთა სპორტული ნავის მოძრავი სკამი; 5. პოლიციის ქვედანაყოფი საქართველოში; 8. აჭარული ხის სახლი; 9. ფრინველის საჭერი მახე; 12. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 13. ხელით სასროლი ფეთქებადი ჭურვი; 16. მდინარე აშშ-სა და მექსიკაში; 17. მეწარმე სოფლად; 19. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი ქალი; 20. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი.

**თარაზულად**: 6. იტალიელი მწერალი, დრამატურგი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 7. ამა თუ იმ ადგილის ჰავა, ამინდის რეჟიმი; 8. მდინარე ზუგდიდში; 10. კარაქის შესადღვები ძველებური ხის ჭურჭელი; 11. მარცვლეულის შესანახი ძველებური ხის ნაგებობა; 14. კომედიური ჟანრის მუსიკალურ-სცენური წარმოდგენა; 15. მსხვილი საკარმიდამო მამული ლათინურ ამერიკაში; 18. ყინულის ძველი ქართული სახელწოდება; 21. მაღალფეხიანი ელექტროსანათი მოწყობილობა; 22. ალპინისტთა გამყოლი, მეგზური ჰიმალაებში; 23. უწყინარი ხასიათის დაცინვა; 24. შვეიცარიული ფარმაცევტული ფირმა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*